შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატი: ელენე მაღლაკელიძე

ნაშრომის ხელმძღვანელი: პროფესორი

ვენედი ბენიძე

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია (ქართულად) ---------- 3

ანოტაცია (ინგლისურად) ---------- 4

შესავალი ---------- 5-6

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა ---------- 7-9

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1.---------- 10-14

2.2. ----------15-24

2.3. ----------25-33

2.4. ----------34-55

2.5. ----------56-63

თავი III. კვლევის შედეგები ----------64-69

დასკვნა ----------70-71

გამოყენებული ლიტერატურა ----------72-74

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ადვოკატის როლის ანალიზი და მიმოხილვა ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით.

ნაშრომი წარმოდგენილია 74 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდით, რომელიც მოიცავს შესავალს, სამ თავს, დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ჩვენს მიერ, მასზე მუშაობის პროცესში გამოყენებული ლიტერატურა. მეორე თავი წარმოადგენს ნაშრომის ძირითად ნაწილს რომელიც თავის მხრივ შედგება ხუთი ქვეთავისაგან. პირველ ქვეთავში საუბარია დაცვის უფლებაზე, მეორე ქვეთავში განხილულია ადვოკატის სამართლებრივი სტატუსი და მისი მდგომარეობა. მესამე ქვეთავი ეხება ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას და მათ რეგულირებას, მეოთხე ქვეთავში განხილულია ადვოკატი გამოძიების სატადიაზე, ხოლო მეხუთე ქვეთავში საუბარია ადვოკატის როლსა და მნიშვნელობაზე სასამართლოში. მესამე თავში გადმოცემულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

Annotation

The goal of MA thesis is to analyze and reviw the role of a lawyer in accordance with Georgian Criminal Procedural Code.

The thesis consists of 74 printed pages, including the introduction, three chapters, conclusions and references.

Chapter 1- the review of a body of literature used. Chapter 2 – a major part of the thesis, which is divided into five subchaprers. The first subchapter deals with the right to an attornev. Subchapter 2 describes a legal status of lawyer. Subchapter 3 covers lawyer Ethics & Regulation. Subchapter 4 tackles the topic – Lawyer During the Process of Investigation, while Subchapter 5 deals with the Role of the Lawyers in the Court, and Chapter 3 presents the results of our study.

შესავალი

ადვოკატი სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტია, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ ფუნქციას - დაცვას. იგი სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეებს ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთ მთავარ რგოლს რომელიც, სისტემის სხვა რგოლებთან - სასამართლო ხელისუფლებასა და პროკურატურასთან ერთად პასუხს აგებს ხარისხიან მართმსაჯულებაზე. ამიტომ, ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში მნიშვნელოვანია როგორც ბრალდებულის, ისე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

განსახილველი **თემის აქტუალობა** განაპირობა, ახალმა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და მოქმედებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან და რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა დაცვის მხარის, და მაშასადამე, ადვოკატის უფლებამოსილებები სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, 2009 წელს მიღებული ახალი საპროცესო კოდექსის უმნიშვნელოვანეს ნოვაციას წარმოადგენს ბრალდებისა და დაცვის მხარის თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომელიც თავის მხრივ გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ : „სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“ [1] ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პარალელურად მოქმედებას იწყებს დაცვის ფუნქცია, რომელიც ხორციელდება როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის დროს ბრალდების მხარესთან თანაბარ პირობებში.

[1] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 9

თემის აქტუალურობა განპირობებიულია აგრეთვე იმით, რომ ადვოკატის როლის მნიშვნელოვნად გაზრდის შემდეგ საქართველოს კანონმდებლობაში გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება საადვოკატო საქმიანობისთვის მეტი პროცესუალური გარანტიის შექმნის კუთხით.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს შევისწავლოთ ადვოკატის საპროცესო უფლება-მოვალეობები, კომპეტენცია, მისი როლი და დანიშნულება სისხლის სამრთალწარმოებაში. გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ, არის თუ არა უზრუნველყოფილი მხარეთა რეალური თანასწორობა და შეჯიბრებითობა, ხომ არ არის კანონმდებლობაში რაიმე ხარვეზი რომელიც საფრთხეს უქმნის დაცვის ეფექტურ და ბრალდების მხარესთან თანასწორ მდგომარეობაში განხორციელებას და ამგვარი პრობლემების არსებობის შემთხვაში განვსაზღროთ მისი გადაჭრის გზები.

ამოცანები - იმისათვის, რომ დასახული მიზნები რეალობად ვაქციოთ და შევძლოთ ადვოკატის საპროცესო უფლება-მოვალეობების, მისი მდგომარეობის და მნიშვნელობის განსაზღვრა, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ დაცვის უფლება და მისი ფარგლები ვინაიდან, სწორედ ბრალდებულის დაცვის უფლებიდან მომდინარეობს როგორც ადვოკატის სისხლის სამართლის პროცესში მონაწილება ისე მისი უფლებამოსილებები. აგრეთვე, იმ მნიშვნელოვანი ფუნქციიდან გამომდინარე რომელსაც ადვოკატი ასრულებს სისხლის სამართლის პროცესში მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიკვლიოთ ადვოკატის სამართლებრივი სტატუსი და დავადგინოთ ვინ შეიძლება გახდეს ადვოკატი და როგორ განისაზღვრება მათი კვალიფიკაცია და კომპეტენცია, პროფესიული ეთიკის ნორმები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და შევისწავლოთ როგორ ხდება მათი საქმიანობის რეგულირება. გარდა ამისა, საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით აუცილებელია დავადგინოთ :

- როდის იწყებს მოქმედებას დაცვის ფუნქცია;
- ადვოკატის როლი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტში;
- რას გულისხმობს დაცვის მხარის მიერ გამოძიების ჩატარების უფლება;
- როგორ ხდება მტკიცებულებათა მოპოვება ადვოკატის მიერ;
- რომელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შედის დაცვის მხარის უფლებამოსილებაში;
- მხარეებს შორის მტკიცებულებათა გაცვლის თავისებურებები;
- ბრალდებულისათვის აღკვეთი ღონისძიების შეფარდების პროცესში ადვოკატის მონაწილეობის მნიშვნელობა;

- წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვისას ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლები;
- საქმის არსებითი განხილვის დროს ადვოკატის საპროცესო ფუნქციები და მათი მნიშვნელობა.

ზემოთაღნიშნული მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაჭრისათვის, ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენს მიერ გამოვიყენებულ იქნა სხვადასხვა **კვლევის მეთოდები** კერძოდ, სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, შედარებითი ანალიზის მეთოდი, ისტორიული მეთოდი და სხვა.

თავი I.ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც შესავალში ავღნიშნეთ, განსახილველი ნაშრომი ეხება ადვოკატის როლსა და მინიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც ახორციელებს ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. ბრალდებულისათვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას დაცვის უფლება წარმოადგენს რომელშიც გარანტირებულია ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება. გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდებულის ეს უფლება გარდა შიდა ნორმატიული აქტებისა, საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც დადგენილი და გარანტირებული უფლებაა თავდაპირველად გავეცანით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კოვენციას, რომელიც ბრალდებულის უფლებების დაცვის ფუნდამენტად გვევლინება და რომელიც ხაზგასმით აღიარებს მის უფლებას - თავი დაიცვას პირადად ან ადვოკატის მეშვეობით. ასევე გავეცანით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორის პაქტს რომელშიც გამყარებულია ბრალდებულის მიერ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება. იმისათვის, რომ შეგვძლებოდა შედარებითი ანალიზის განხორციელება გავეცანით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალურ სტანდარტულ წესებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ და ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციას.

გავეცანი საქართველოს კონსტიტუციას, როგორც იერარქიულად ყველაზე ზემდგომ კანონს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს სადაც განსაზღვრულია როგორც ბრალდებულის უფლება - ისარგებლოს ადვოკატის

დახმარებით, ასევე ადვოკატის უფლება-მოვალეობები რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მომენტიდან მოიცავს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიას და წარმოადგენს აღნიშული ნაშრომის კვლევის საგანს. ამით მომეცა შესაძლებლობა გამეღრმავებინა საკითხის ცოდნა და ამასთან, შემედარებინა, თუ რამდენად შეესაბამება იერარქიულად ქვემდგომი კანონი - ზემდგომს.

გამომდინარე იქიდან, რომ აუცილებელია ნაშრომში შევხებოდით და გამოგვეკვლია ადვოკატის სამართლებრივი სტატუსი, მისი სამართლებრივი მდგომარეობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკა და მათი შიდარეგულირების მექანიზმი, თავდაპირველად გავეცანით ყველა საჭირო სამართლებრივ აქტებს და რეგულაციებს ადვოკატის პროფესიის შესახებ. ესენია, საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ. მათი უკეთ გაანალიზემის მიზნით მოვიძიეთ სხვადასხვა სახელმძღვანელო და კვლევები რათა უფრო ნათლად ჩამოგვეყალიბებინა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები. მათგან აღსანიშნავია, ირაკლი ყანდაშვილისა და გიორგი ტურაზაშვილის სახელმძღვანელო პროფესია-ადვოკატის შესახებ, სადაც ამ პროფესიის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოძიება გახდა შესაძლებელი და დაგვეხმარა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის შესწავლაში. ასევე მოვიძიეთ პრეცედენტები და რეკომენდაციები ეთიკის კომისიის საქმიანობის შესახებ რათა გაგვეკეთებინა ღრმა ანალიზი ეთიკის ნორმების და დაგვედგინა როგორც თითოეული ნორმის ზუსტი შინაარსი, ისე მათი მნიშვნელობა და მიზანი . სხვა ქვეყნების კანონმდებლობასთან პარალელების გავლების მიზნით გავეცანით ჯეიმს მოლიტერნოს სახელმძღვანელოს -„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითხები“.

აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობისას, აუცილებელი იყო გავცნობოდით ირინა აქუბარდიას მონოგრაფიას - დაცვის ხელოვნებას, რომელიც მთლიანად ეძღვნება დაცვის ფუნქციას და რომელიც დაგვეხმარა გამოგვეკვლია ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა და მისი უფლება-მოვალეობები როგორც გამოძიების სტადიაზე, აგრეთვე, სასამართლოში საქმის განხილვის დროს. ამასთან, მოგვცა შესაძლებლობა, ნათლად დაგვენახა თუ როგორ უნდა განახორციელოს ადვოკატმა ეფექტურად მისი საპროცესო ფუნქციები რათა მისთვის სასურველ შედეგს მიაღწიოს.

თემის შინაარსიდან გამომდინარე, რომელიც მთლიანად მოიცავს სისხლის სამართლის პროცესს გავეცანით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო

კანონმდებლობის შესახებ არსებულ სახელმძღვანელობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უკეთ განსახილველად და ადვოკატის საქმიანობის უკეთ წარმოსაჩენად გამოყენებული გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით რომელიც მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, დატვირთული პრაქტიკული მაგალითებითა და განსხვავებული ხედვებით და ამიტომ აქტიურად არის გამოყენებული ჩვენს ნაშრომში. აღნიშნული სახელმძღვანელო და ავტორთა კოლექტივის მიერ 2017 წელს შემუშავებული-საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლი, განსაკუთრებით გამოგვადგა გამოძიების სტადიაზე ადვოკატის როლის განსაზღვრისას და ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების თავისებურებების შესწავლისას.

გარდა აღნიშნული კომენტარებისა, თემის შინაარსის სრულყოფილად გადმოსაცემად გამოყენებულია სისხლის სამართლის პროცესის მე-5 გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, რომლის ავტორიც გახლავთ მალხაზ ლომსაძე. ნაშრომი შედგენილია 2010 წლის 1 ოქტომბრის ძალაში შესული საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, სადაც ამომწურვადაა განხილული იმ დროს მოქმედი საპროცესო კოდექსის ცალკეული დებულებები, შედარების და ცვილელბების ანალიზის მიზნით, გავეცანი იმავე ავტორის ნაშრომის მე-7 გადამუშავებულ და შევსებულ გამოცემას.

ადვოკატის როლის უკეთ წარმოსაჩენად და გამოსაკვლევად სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გარდა მნიშვნელოვნად დაგვეხმარა აგრეთვე, გ. ჩხეიძის, „ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის“ და ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაოსების ინიციატივის (ABA ROLI) მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო „შესავალი სიტყვა. დასკვნითი სითყვა“ რომლებშიც გადმოცემული ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და ხერხები რომელიც უნდა გამოიყენოს ადვოკატმა საქმის სასამართლოში განცილვის დროს სრულყოფილი დაცვის განხორციელებისთვის.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მისი მიზნებიდან გამომდინარე, აგრეთვე გავეცანით ჟურნალებს, სტატიებს, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და სხვადასხვა კვლევებს რათა სრულყოფილად გამოგვეკვლია და შეგვესწავლა ადვოკატის ფუნქცია-მოვალეობები, მისი მონაწილების მნიშვნელობა სისხლის

სამართლის პროცესში და გამოგვევლინა ის პრობლემური საკითხები რომლებიც ხელს უშლის მას დაცვის ეფექტურად განხორციელებაში.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1. დაცვის უფლება

სამართლის ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო დაცვის როლი სისხლის სამართის პროცესში. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ათენში სასამართლო პროცესებზე სიტყვას პირველად წარმოთქვამდა ბრალმდებელი, რომლისთვისაც პასუხი უნდა გაეცა ბრალდებულს ან მის დამცველს. ამ უკანასკნელს კარგად უნდა ცოდნოდა კანონები, ტრადიციები და შესძლებოდა ბრალდებულისათვის საქმის უკეთესად წარმართვაში დახმარება. დამცველის როლი იგივეა დღესაც, რომელსაც ახორციელებს ადვოკატი. თანამედროვე გაგებით, სიტყვა „ადვოკატი“ ნიშნავს იურისტს, რომელიც გამოდის დამცველად ან აწარმოებს ვისიმე საქმეს სასამართლოში. დაცვის უფლება

გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.[2]

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაცვის უფლება წარმოადგენს ბრალდებულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას. სსსკ -ის მე-3 მუხლის მე-19 ნაწილის თანახმად, „ბრალდებული არის პირი რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული".[3] უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული განმარტება არ არის სრულყოფილი. მხოლოდ დასაბუთებული ვარაუდის არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირი ავტომატურად ჩაითვალოს ბრალდებულად და მიენიჭოს მას ბრალდებულის პროცესუალური უფლებები. დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს იმ სავალდებულო მტკიცემულებით სტანდარტს, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს პირის ბრალდებულად ცნობა ან დაკავება.[4]

პირს ბრალდებულის სტატუსი და უფლებები ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევანა. სისხლისსამართლებრივი დევანა სსსკ-ის 167-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ). პირი მხოლოდ მას შემდეგ სარგებლობს ბრალდებულის უფლებებით, თუ მას დააკავებენ ან დაკავების გარეშე პროკურორი დადგენილებით ცნობს ბრალდებულად.[5]

ბრალდებულისათვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ გარანტიას დაცვის უფლება წარმოადგენს. ეს უფლება, გარდა ქვეყნის შიდა ნორმატიული აქტებისა,

---

[2] ლ. მსხილაძე, დაცვის მხარის როლი შეჯობრებით სამართალწარმოებაში, თბ., ჟურნალი. „ადვოკატი", 2014, N 3-4, გვ. 59

[3] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 1999, მ.3

[4] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო", 2014, გვ. 122

[5] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები", საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი", 2015, გვ, 178

საერთაშორისო ხელშეკრულებებითაც გარანტირებული და დადგენილი ფუნდამეტური უფლებაა. [6]

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით რომლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით“.[7] აღნიშნული უფლება განმტკიცებულია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კოვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით რომელიც ხაზგასმით აღიარებს ბრალდებულის უფლებას, წარდგენილ ბრალდებში თავი დაიცვას პირადად, ან მის მიერ არჩეული ადვოკატის მეშვეობით.[8]

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორის პაქტით აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ ბრალდებულს როგორც მინიმუმ, უფლება აქვს გაასამართლონ მისი თანდასწრებით და თავი დაიცვას პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვებოთ.[9] ეს უფლება გარანტირებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-8 მუხლით რომელიც ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას ასევე დაიცვას თავი პირადად ან ადვოკატის მეშვეობით და ამასთან, შეხვდეს თავის დამცველს თავისუფლად და კერძო ვითარებაში.[10]

ზემოთ მოყვანილ, დებულებებში მოცემულია პირის უფლება, დაიცვას თავი და ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. რაც წარმოადგენს ყველა ბრალდებულის ერთ-ერთ ძირითად უფლებასა და გარანტიას. მხოლოდ საერთაშორისო პაქტი მიუთითებს პირდაპირ ბრადლებულის უფლებაზე, დაესწროს სასამართლო განხილვას. თუმცა, ეს უფლება აგრეთვე იგულისხმება და დაცულია დანარჩენი აქტებით.

განსაკუთრებულ განხილვას საჭირობეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თვისუფელბათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომელიც ბრალდებულის ამ

---

[6] ნ. ბოჭორიშვილი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012, გვ. 118-120

[7] საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, მ. 31

[8] ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი, 1994, მ. 6

[9] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1996, მ. 14

[10] ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1978, მ. 8

უფლებას განიხილავს როგორც „სამართლიანი სასამართლოს“ კონცეფციის შემადგენელ ელემენტს. ამასთან, ევროპული კონვენცია ახდენს არა უბრალოდ ფორმალურ დეკლარირებას დაცვის უფლებისა, არამედ აყალიბებს უფლებათა მინიმუმს, რომელიც აუცილებელია დაცვის ეფექტურად განხორციელებისთვის.[11]

დაცვის უფლების საერთაშორისო სამართლებრივ საფუძვლებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ“. ამ დოკუმენტის თანახმად, ადვოკატის ყოლის უფლება წარმოადგენს არასრულწლოვანთა ძირითად პროცესუალურ გარანტიას. სასამარათლოში საქმის განხილვის დროს არასრულწლოვანს უფლება აქვს წარმოდგენილი იყოს ადვოკატის მეშვეობით ან მიმართოს უფასო სამართლებრივ დახმარებას, თუ ამგვარი დახმარების გაწევა გათვალისწინებულია მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით.[12]

მოყვანილი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით ბრალდებულს ასევე ენიჭება უფლება ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, რაც ხაზს უსვამს ადვოკატის როლის მნიშვნელობას მართლმსაჯულების სისტემაში. სწორედ ამ აქტებიდან და საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით გარანტირებულია სახელმწიფოს ხარჯზე დაცვის უფლება.[13] რაც გულისხმობს, რომ თუ ბრალდებული გადახდისუუნაროა მას უფლება აქვს მიმართოს იურიდიული დახმარების შესაბამის სამსახურს ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით. ხოლო, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში იურიდიული დახმარების სამსახურისთვის მიმართვა ბრალდებულისთვის ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნით წარმოადგენს პროკურორის და მოსამართლის ვალდებულებას იმის მიხედვით თუ რომელ სტადიაზეა კონკრეტული სისხლის სამართლი საქმე. აღნიშნული ნორმა

---

[11] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 42

[12] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, მ. 15 https://idsdge.files.wordpress.com უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019

[13] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი თბ., 2009, მ. 46

წარმოადგენს ბრალდებულის დაცვის უფლების კონკრეტიზაციას და თანასწორობის პრინციპის საფუძველზე მიზნად ისახავს, ხელმოკლე ბრალდებულების მდგომარეობის, ფინანსურად შედარებით ძლიერი ბრალდებულების მგომარეობასთან გათანაბრებას.[14]

დაცვის უფლებაში ნათლად არის გამოხატული ის მჭიდრო ურთიერთკავშირი რომელიც არსებობს მართლმსაჯულების ინტერესსა და პიროვნების ინტერესს შორის. თუ ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ დაცვის უფლება ხელს უწყობს მისთვის წარდგენილი ბრალდების უარყოფას. ხოლო თუ მან ჩაიდინა დანაშაული რომლისთვისაც წარდგენილი აქვს ბრალდება, მაშინ დაცვის უფლება ხელს უწყობს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენას. ამით ხორციელდება მართლმსაჯულების ამოცანების უზრუნველყოფა - დამნაშავის მხილება და სამართლიანი დასჯა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უდანაშაულო პირთა მიცემისა და დასჯადობის დაუშვებლობა. დაცვის უფლება წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს გარანტიას და სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოების სამართლიანი გადაწყვეტის საფუძველს.[15] დაცვის უფლება მოქმედებას იწყებს კონკრეტული პირის დაკავების ან ბრალდებულად ცნობის მომენტიდან და იგი მთავრდება საპროცესო საქმიანობისა და შესაბამისი საპროცესო ურთიერთობის დასრულებასთან ერთად.

დაცვის უფლების ეფექტურად განხორციელებას ემსახურება კანონის იმპერატიული მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ დაკავების მომენტში ან, თუ დაკავება არ ხდება, - ბრალდებულად ცნობითანავე, დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ ბრალდებულს უნდა ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე.[16] სწორედ ამ მომენტიდან იწყებს მოქმედებას დაცვის ფუნქცია. ეს უფლება, ფაქტობრივად, არის რეალური შეჯიბრებითობისა და საქმის წარმატების გარანტი.

[14]ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 203

[15] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 44-46

[16] საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 38

შესაბამისად, ადვოკატის აყვანის უფლების გამოუყენებლობა მიანიშნებს დაცვის ფუნქციის შეზღუდვაზე, რაც უარყოფითად აისახება შედეგზე.[17]

ამდენად, ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას სწორედ დაცვის უფლება წარმოადგენს ვინაიდან, ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდებული კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის გარეშე ვერ შეძლებს სათანადოდ განახორციელოს დაცვა და ისარგებლოს მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებებით. სწორედ ამიტომ ანიჭებს მას კანონი ადვოკატის მოწვევის შესაძლებლობას რაც აქვე უნდა აღინიშნოს რომ არის ბრალდებულის უფლება და არა მოვალეობა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სავალდებულო დაცვის შემთხვევის არსებობა. ამ შემთხვევაში თუ ბრალდებული უარს იტყვის ადვოკატის აყვანაზე მისი ნებისგან დამოუკიდებლად სახელმწიფო უზრუნველყოფს მისთვის ადვოკატის გამოყოფას.

2.2. ადვოკატის სამართლებრივი სტატუსი და მისი მდგომარეობა

[17] ლ. მსხილაძე, დაცვის მხარის როლი შეჯობრებით სამართალწარმოებაში, თბ., ჟურნალი. „ადვოკატი“, 2014, N 3-4, გვ. 60

ადვოკატის პროფესიას საქართველოში მდიდარი ისტორია და ტრადიციები აქვს. სასამართლოს დარბაზში ადვოკატები მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან გამოჩდნენ და თავდაპირველად მათ ნაფიც რწმუნებულებს უწოდებნენ. ადვოკატთა პირველი გაერთიანების ჩამოყალიბებაც სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების 1919 წლის 11 ნოემბრის დეკრეტი, რომლითაც გაუქმდა რუსეთის იმპერიის ტფილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიც რწმუნებულთა ინსტიტუტი და დაარსდა დამოუკიდებელი საქართველოს ნაფიც ქველთა (ადვოკატთა) საბჭო, რაც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელი ქართული ადვოკატურის ათვლის წერტილად. თანამედროვე საქართველოს ადვოკატურის დასაწყისად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2001 წლის 20 ივნისი, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ადვოკატთა შესახებ“ და ამით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, როგორც ერთიანი და დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნას. [18]

„ადვოკატთა შესახებ“ საქართელოს კანონის პირველი მუხლის თანახმად: „საქართველოში საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ადვოკატი, რომელიც არის თავისუფალი პროფესიის პირი, ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქრთველოს ადვოკატთა ასოციაციაში“.[19] აღნიშნული მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების გარეშე პირი ვერ მოიპოვებს ადვოკატის სტატუსს. აქედან გამომდინარე, დღეს მოქმედი თითოეული ადვოკატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

ადვოკატი მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი მთავარი რგოლია რომელიც, სისტემის სხვა რგოლებთან - სასამართლო ხელისუფლებასა და პროკურატურასთან ერთად პასუხს აგებს ხარისხიან მართმსაჯულებაზე.

[18] https://gba.ge. „უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 06.06.2019

[19] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ. თბ., 2001, მ.1

შესაბამისად, მისი ადგილი თანაბარ წილად მნიშვნელოვანია მათ გვერდით ვინაიდან ის მართლმსაჯულები ოჯახის განუყოფელი ნაწილია.[20]

იმისათვის, რომ ადვოკატის პროფესიისადმი ადეკვატური იყოს საზოგადოების, საადვოკატო სერვისის მომხმარებელთა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენელთა მიდგომა, საჭიროა ადვოკატის პროფესია შესაბამისი განვითარების სიმაღლეზე იდგეს, როგორც პროფესიული მომზადების, ასევე პროცესუალური გარანტიებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების გათვალისწინებით.[21]

ამ კუთხით, აუცილებელებლად უნდა აღინიშნოს ის ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში, რაც 2016-2018 წლებში გატარდა საადვოკატო საქმიანობისთვის კიდევ უფრო მეტი პროცესუალური გარანტიის შექმნის კუთხით, კერძოდ:

1. 2016 წელს სისხლის სამრათლის კოდექსით დასჯადი გახდა დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა.[22]
2. 2017 წელს საქართველოს კონსტიტუციის(მაშინ როდესაც მსოფლიოში მოიძებნება სულ რამდენიმე სახელმწიფო, რომელთა უზენაესი კანონი იცნობს სიტყვა „ადვოკატს“), მე-13, 31-ე მუხლებში გაჩნდა ჩანაწერი ადვოკატის შესახებ,[23]რაც ადვოკატ ირაკლი ყანდაშვილის თქმით, „ადვოკატის პროფესიის საკონსტიტუციო დონეზე აღიარების დადასტურებაა“.
3. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38 -ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროვება, იძულება, დევნა,

[20] ი, ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა“, 2018, გვ.6
[21] იქვე. გვ. 6
[22] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999
[23] საქართველოს კოსტიტუცია, თბ., 1995, მ. 13, მ.31

მასზე ზეწოლა, მისთვის მორალური ან/და მატერიალური ზიანის მიყენება, მის მიმართ ძალადობა ან ძალადობის მუქარა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა".[24]

აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვანია, რადგან ადვოკატის საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე დაცვა საადვოკატო საქმიანობის უკეთ განხორციელების საშუალებაა და ემსახურება როგორც ადვოკატის ისე კლიენტის ინტერესების დაცვას.

როგორც ზემოთ, აღინიშნა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი მუხლი ნებისმიერ პირს, რომელიც აპირებს განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა აკისრებს ვალდებულებას გაწევრიანდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციში. თუმცა, არსებობს გარკვეული წინაპირობები რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი რათა შეძლოს ასოციაციში გაწევრიანება. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ საკითხი თუ როგორ შეიძლება ადვოკატის პროფესიაში შესვლა.

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლი და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-8 მუხლი, დეტალურად არეგულირებს პირის ადვოკატის პორფესიაში შესვლის წინაპირობებს.[25] კერძოდ, ადვოკატი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც: ა) აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (იგულისხმება საბაკალავრო სწავლების საფეხური საფეხური); ბ) ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან კანონით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის/პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდა; გ) გავლილი აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც 1-წლიანია და შედგება თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან.[26]

---

[24] საქართველის კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ. 38

[25] ი, ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა", 2018, გვ.8

[26] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ. 10

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის მაისში „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში გატარდა ცვლილებები. კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც წინათ ჩამოყალიბებული იყო შემდგენაირად: „აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.“

ზემოთ მოყვანილი ცვლილება წარმოადგენს მნიშვნელოვან ნოვაციას, რომლის შედეგადაც ადვოკატობის მსურველი ნებისმიერი პირი ვალდებული იქნება გაიაროს პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან, კერძოდ, პროგრამის პირველი ნაწილი მოიცავს სამ თვიან თეორიულ კურსს, რომლის ფარგლებში მომავალი ადვოკატები შეისწავლიან ისეთ პრაქტიკულ უნარებს რომლებიც, არ ისწავლება უნივესიტეტბში თუმცა, უკვე პრაქტიკოს ადვოკატებს ესაჭიროებათ ყოველდღიურ საქმიანობაში. კერძოდ, ისინი შეისწავლიან, ადვოკატთა პროფესიულ ეთიკას, იურიდიულ მართლწერას, საადვოკატო უნარ-ჩვევებს, კლიენტთან კომუნიკაციის წესებს, საადვოკატო ბიუროს მარვთას და რიტორიკის უნარებს. ადაპტაციის პროგრამის მეორე, ცხრა თვიანი პერიოდი დაეთმობა რეალურ პრაქტიკულ სტაჟირებას, რომელსაც ადვოკატობის მსურველი პირები გაივლიან მათ მიერ, ადვოკატთა ასოციაციის მენტორ ადვოკატთა რეესტრიდან შერჩეულ ადვოკატებთან. ამასთან, სტაჟირების მთელ პერიოდზე ასოციაცია განახორციელებს ზედამხედველობას რათა დარწმუნდეს, რომ პრაქტიკული სწავლება სრულყოფილად მომდინარეობს.[27]

მიგვაჩნია, რომ ადვოკატთა პროფესიული პრაქტიკის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კურსი მიცემს მომავალ ადვოკატებს უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ადვოკატის პროფესიის წარმატების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან დეტალებს და რომელთა შესწავლის შესაძლებლობა ამ ცვლილების განხორციელებამდე რეალურად არ არსებობდა საადვოკატო პრაქტიკის დაწყებამდე. აღნიშნული კურსის შედეგად შესწავლილი უნარ-ჩვევები, სამომავლოდ დაიცავს ადვოკატებს

[27] [27] ი, ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა“, 2018, გვ.9

პრაქტიკული შეცდომების დაშვებისგან რაც ორმაგად მნიშვნელოვანია რადგან, ყოველივე ეს აისახება კლიენტისთვის გაწეულ მომსახურებაზე და მიცემს მათ საშუალებას მიიღონ კვალიფიციური იურიდიული დახმარება.

ადვოკატთა პროფესიაში დაშვება ევროკავშირის წევრ ქვეყანათა უმრავლესობაში, ჩვეულებრივ, სამი საფეხურისაგან შედგება: განათლება, გამოცდა და პრაქტიკული სწავლება. საგანმანათლებო პროგრამები განსხვავებულია მათი ხანგრძლივობის თვალსაზრისით. საფრანგეთს, გერმანიას, საბერძნეთსა და ესპანეთს აქვთ ოთხწლიანი პროგრამები, ხოლო დანიას, ბელგიას, ფინეთს, იტალიას და პორტუგალიას კი - 5 წლიანი პროგრამები. გერმანიაში ადვოკატობის მსურველებმა უნდა გაიარონ მრავალფეროვანი როტაცია ორწლიანი სავალდებულო სტაჟირების დროს, ორ გამოცდას შორის პერიოდში.[28] როგორც ვხედავთ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში გატარებული ცვლილება წარმოადგენს პროფესიაში შესვლის ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას საქართველოში რაც გახდება წინაპირობა და გარანტია პროფესიაში კიდევ უფრო კვალიფიციური და ხარისხიანი კადრის მიღებისა. თუმცა, მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნება საქართველოშიც გაიზარდოს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ხანგრძლივობა რადგან, მხოლოდ ერთი წელი საკმარისი არ არის ადვოკტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფილად შესასწავლად.

ნდობა საზოგადოების მხრიდან ადვოკატის პროფესიის მიმართ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მას უშუალოდ განსაზღვრავს თავად ადვოკატთა საქმიანობა, პროფესიული სტანდარტებისადმი მიდგომა და პროფესიული მომზადების დონე, რომელიც გატარებული ცვლილების შედეგად ერთმნიშვნელოვნად გაიზრდება რაც პირდაპირ პროპორციულად გამოიწვევს საზოგადოების ნდობის ამაღლების ადვოკატების მიმართ. ამ მხრივ, ორმაგად მნიშვნელოვანია თითოეული ადვოკატის სწორი მიდგომა პროფესიისადმი და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

[28] ჯ. მოლიტერნო, ჯორჯ ჩ. ჰარისი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითები თბ., 2014, გვ. 19-20

ზემოთ მოცემული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის უფლებები შეიძება დაიცვას მხოლოდ იმ პირმა რომელიც აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს მხარეთა პროცესს. სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებს პროცესში იცავს ბრალდების მხარე, ხოლო დაცვის მხარედ ბრალდებული და მისი ადვოკატი გვევლინება (ასევე მსჯავრდებული და გამართლებული).უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის სტატუსი განსაზღვრულია მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით. კოდექსი ადვოკატს განმარტავს როგორც პირს, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებილის ინტერესებს. [29]

ადვოკატი სისხლის სამრთლის პროცესის სუბიექტია, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტურ ფუნქციას - დაცვას. იგი მონაწილებს სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესები დასაცავად. ადვოკატმა სისხლის სამართლის პროცესში დაიშვება ბრალდებულის დაკავების ან ბრალდებულად ცნობის მომენტიდან. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობისათვის დასაშვებად ადვოკატმა უნდა წარადგინოს ადვოკატთა ასოციაციის, ფირმის, ბიუროს ორდერი და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობა.[30]

ადვოკატის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში მჭიდრო კავშირშია ბრალდებულის უფლებებთან. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად ადვოკატს უფლება აქვს ისარგებლოს ბრალდებულის ყველა უფლებით, გარდა იმ უფლებებისა რომლებითაც, თვით ამ უფლების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ ბრალდებულმა

[29] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 30-31

[30] ჯ. გახოკიძე და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი მესამე გამოცემა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 156

ისარგებლოს.[31] აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ ბრალდებულის ის ძირითადი უფლებები რომლითაც სარგებლობის უფლება ადვოკატსაც გააჩნია.

ბრალდებულს უფლება აქვს:

1. დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით;

2. მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;

3. მონაწოლეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძებო მოქმედებაში;

4. გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს;

5. დააყენოს შუამდგომლობა და განაცხადოს აცილება;

6. დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება;[32]

ბრალდებულს აქვს გასაჩივრების უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს გამომძიებლის მოქმედება გაასაჩივროს პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება -ზემდგომ პროკურორთან. ხოლო, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში-სასამართლოში. ბრალდებულს (მსჯავრდებულს) აქვს განაჩენისა და სხვა სამოსამართლეო გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ასლის მიღების უფლება.[33]

სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-16 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის აღნიშნული უფლებები არ არის ამომწურავი და არ ზღუდავს ბრალდებულის უფლებას, განახორციელოს ყველა სხვა უფლება,

---

[31] საქათველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ.44

[32] მ. ლომსაძე, სისხლის სამრთლის პროცესი, თანდართული ტესტების ნიმუშები, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2015, გვ. 61

[33] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 38

რომელიც მას საქართველოს კანონმდებლობით და საეთაშორისო ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.[34]

მიგვაჩნია რომ, სწორედ ზემოთ მოცემული ჩანაწერი აძლევს საშუალებას დაცვის მხარეს, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც კანონით არ არის აკრძალული და ამგვარად მიაღწიოს მისთვის ბრალდებულისთვის სასურველ შედეგს.

გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში. სისლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა აღკვეთის ღონისძიების ან განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას მხოლოდ ბრალდებულის თანხმობის შემთხვევაში. ამჟამად, მოქმედ რედაქციაში ადვოკატი უფლებამოსილია გაასაჩივროს დასახელებული გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად. ბრალდებულის ნება კი გამოვლინდება სასამართლო განხილვის დროს.[35]

საქართველო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადვოკატმა დაცვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოყენოს იმ გარემოებათა გამოსავლენად, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას. შესაბამისად, კანონმდებელი ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდებისგან ჯეროვანი და ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ანიჭებს ფართო უფლებებს.[36] კანონმდებელი მოცემულ ნორამში ხაზს უვამს მხოლოდ კანონიერ საშუალებებზე რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატს არ აქვს უფლება კანონის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს თუნდაც ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე. ამავე ნორმაში მოცემულია ადვოკატის მოვალეობა - „იმოქმედოს კლიენტის ინტერესების შესაბამისად“, მართალია აქ ხაზგასმული არ არის, რომ საუბარია მხოლოდ კანონიერ

[34] იქვ,

[35] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 199

[36] გ. თუმანიშვილი სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გამომც: „იურისტა სამყარო“, თბ., 2014, გვ. 139

მითითებებზე, მაგრამ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მთლიანად მუხლის შინაარიდან.

ადვოკატი ვალდებულია გამოცხადდეს საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების ადგილას და სასამართლოში. ადვოკატი ვერ გაამართლებს ამ ვალდებულების დარღვევას ბრალდებულის ინტერესების პრიორიტეტულობის არგუმენტით. როგორც აღინიშნა, ადვოკატი ვალდებულია მხოლოდ კანონიერი საშუალება გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა კი არ ჩაითვლება კანონიერ საშუალებად.[37]

როგორც ვხედავთ, საქართველო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში მითითებულია როგორც ადვოკატის უფლებები, ისე მისი მოვალეობები. რამდენადაც ადვოკატის უფლებები მჭიდრო კავშირშა ბრალდებულის უფლებებთან და მეტწილად წარმოდგება ამ უკანასკნელიგან, კანონმდებელი ნორამში მიუთითებს მხოლოდ ზოგად უფლებებზე. რაც შეეხება აღნიშნული უფლებების პროცესუალურ მექანიზმს, იგი განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცალკეული ნორმებით რაზეც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

ადვოკატის პროცესუალური უფლებების მაშტაბურობა განპირობებულია იმით, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში მძიმე ბრალდების საქმეზე შეუძლებელია ადვოკატის მონაწილეობის გარეშე სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფა, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბრალდებული დამოუკიდებლად ვერ შეძლებს წარდგენილი ბრალდებისაგან თავის სათანადოდ დაცვას და იგი ბრალმდებლთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასეთ დროს სწორედ ადვოკატი უნდა დაუპირისპირდეს სისხლისსამართლებრივი დევნის აპარატს და უზრუნველყოს მხარეთა მხარეთა პროცესუალური თანასწორობა. ვინაიდან, საზოგადოება განსაკუთრებულად არის დაინტერესებული სამართლიანი პროცესის

[37] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ 201

უზრუნველყოფით, მაშასადამე, ადვოკატი მოქმედებს, არა მარტო ბრალდებულის არამედ საჯარო ინტერესის შესაბამისად.[38]

სისხლის სამართლის საპროცესო თეორიში ადვოკატის პროცესუალური მდგომარეობა მრავალმხრივად განიმარტება. ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ადვოკატები ბრალდებულის წარმომადგენელია; ავტორთა ჯგუფის აზრით, ადვოკატი აერთიანებს პროცესის დამოუკიდებელი სუბიექტის უფლებამოსილებას ბრალდებულის წარმომადგენლის უფლებამოსილებასთან; ავტორთა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ადვოკატი სასამართლოს თანაშემწეა და ეხმარება მას საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.[39]ცხადია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ადვოკატი ეხმარება სასამართლოს მართმსაჯულების განხორციელებაში თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ის სასამართლოს თანაშემწეა. ვინაიდან, ეს დახმარება ატარებს არა ზოგად, არამედ კონკრეტულ ხასითს. კერძოდ, ადვოკატი მხოლოდ ბრალდებულის უფლებებისა და ინტერესების დაცვის თავლსაზრისით ეხმარება სასამართლოს. აღნიშნული დახმარება ცალმხრივია ვინაიდან ადვოკატი ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებებზე ამახვილებს სასამართლოში რომელიც ბლადებულის ინტერესებზე სასიკეთოდ იმოქმედებს.

აქედან გამომდინარე, ადვოკატი მართლმსაჯულების ოჯახის განუყოფელი ნაწილია და მისი საქმიანობა ატარებს არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო ხასითს. როდესაც პირს არ შეუძლია, სათანადოდ დაიცვას თავი წარდგენილ ბრალდებაში, სრულყოფილი მართლმსაჯულების განსახორციელებლად შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებაში სწორედ ის არის ბრალდებულის უფლებების და თავისუფლებების დაცვის გარანტორი. ადვოკატი, როგორც იურიდიული პროფესიის წევრი, არის ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენელი რომელსაც განსაკუთრებული პასუხიმგებლობა ეკისრება მართლმსაჯულების მაღალი ხარისხისთვის. ადვოკატი, როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველი არის მხარე შეჯიბრებითობისა და მხარეთა

[38]ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 198

[39]ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 82

თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე და შესაბამისად არ არის ნეიტრალური მხარე, მას არ ევალება დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება. არც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სისხლის სამრთლის საპროცესო კოდექსი არ ავალდებულებს ადვოკატს დაადგინოს სიმართლე. იგი დარწმუნებულიც რომ იყოს პირის ბრალეულობაში უფლება აქვს მოითხოვოს მისი უდანაშაულოდ ცნობა. თუმცა, მას არ აქვს უფლება უდანაშაულობის დასამტკიცებლად გამოიყენოს ყალბი მტკიცებულებები და განახორციელოს უკანონო მოქმედებები ვინაიდან კანონმდებელი ავალდებულებს მას იმოქმედოს კანონის ფარგლებში და გამოიყენოს დაცვის მხოლოდ კანონიერი საშუალებები და ხერხები.

2.3. ადვოკატთა პროფესიული ეთიკა და მათი რეგულაციის მექანიზმი

ეთიკა, ბერძნულად ethos, არის მოარლი, ზენეობა, შეიძლება ითქვას ხედვა. ადვოკატის ეთიკა არის სასამართლო ეთიკის ნაწილი, რომელიც საერთო მორალის ნორმებიდან გამომდინარებს. ამიტომ, ადვოკატის ეთიკის ნორმები არ ეწინააღმდეგება მორალის საერთო პრინციპებს, რაც საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარეობს. პროფესიული მოვალეობა თავისთავად არის ეთიკური კატეგორია, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების მიღწევისაკენ და გამომდინარეობს ზნეობრივი ნორმებიდან. განსაკუთრებით ეს მოთხოვნები ეხება ადვოკატის საქმიანობას, რომელიც უნდა იყოს მორალის, სისუფთავის, კარგი

ქცევისა და პროფესიული მოვალეობის ღირსეულად შესრულების სანიმუშო მაგალითი. [40]

ადვოკატის მოღვაწეობის ეთიკურ საწყისებს კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ადვოკატისათვის სისხლის სამართლის საქმეებზე, რადგან სისხლის სამართალში დაცვა შედარებით მეტ საფუძვლებს იძლევა ზნეობრივი ხასითის მქონე მოთხოვნათა წასაყენებლად, როგოც დასაცავ პირთან, ისე საზოგადოებასთან დამცველის რთული, და მრავალმხრივი დამოკიდებულების გამო.[41]

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 1 -ლი მუხლის თანახმად, ადვოკატი თავისუფალი პროფესიის პირია, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს.[42]

კანონი ადვოკატთა შესახებ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ავალდებულებს განსაზღვროს მისი წევრებისათვის შესაფერისი ეთიკური სტანდარტები. ეს სტანდარტები ჩამოყალიბებულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში“ რომელიც 2006 წელს მიიღეს. [43]

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს. ადვოკატთა პროფესოული ეთიკის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება - შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.[44]

საქართველოში საადვოკატო საქმიანობის ხანგრძლივი საუკეთესო ტრადიციებისა და თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელთა მორალურ-ზნეობრივი

---

[40] გ. აბაშიძე, დამცველი სისხლის სამართლის პროცესში, (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე), თბ., გამომც. „ჩხორია-2009“, 2010, გვ. 52-53

[41] А.Ф Кони. Нравственные начала в уголовном процессе. Извранные произведения, 1956 г, стр. 42

[42] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ.1

[43] სამართლის უზენაესობის განმტკიცება, ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევებიდა შესაძლებლობები, თბ., 2012, გვ. 26, https://www.refworld.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019

[44] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006, მ.1

ღირებულებების გათვალისწინებით, ეთიკის კოდექსმა ასახა ადვოკატთა ასოციაციის თითოეული წევრის პროფესიული ღირებულება, კანონიერების პრინციპზე დაყრდნობით ემსახუროს კლიენტის საუკეთესო ინტერესებს, ღირსეულად განახორციელოს საქმიანობა, როგორც მართლმსაჯულების მონაწილე პირმა და წარმოაჩინოს პროფესიული სახე იმგვარად, რომ საზოგადოების მხრიდან მოიპოვოს ნდობა ადვოკატის პროფესიისადმი.[45]

„თითოეული ადვოკატურის ან იურიდიული საზოგადოების ცალკეული წესები წარმოიქმნება მისი ტრადიციებიდან“,[46] საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ეთიკის კოდექსის მიღებით დაადასტურა ისეთი ღირებულებებისადმი პატივისცემისა და შესრულების ვალდებულებები როგორიცაა, საადვოკატო საქმიანობაში კანონით დადგენილი შემდეგი პრინციპები[47]:

- კანონიერება;
- საადვოკატო საქმიანობის დამოუკიდებლობა და თავისუფლება;
- ადვოკათა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა;
- ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშებლობა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ეთიკის კოდექსი პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპების ამომწურავ ჩამონათვალს ასახავს პირველივე მუხლში და ადვოკატის ვალდებულებად განიხილავს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებლობის, ნდობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესთა პრიორიტეტულობის, ინტერესთა

[45] ე. გასიტაშვილი და „სხვები“, ეთიკის კომისიის საქმიანობა კვლევები, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2012-2013, „რედ“ ე. გასიტაშვილი, თბ., 2013, გვ. 8

[46] ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 1988

[47] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ. 3

კონფლიქტის დაუშვებლობისა და კოლეგიალობის პრინციპებით ხელმძღვანელობას.[48]

დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენის ან ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებისაგან. დამოუკიდებლობის პრინციპის ფარგლებში ადვოკატს აგრეთვე ეკისრება ვალდებულება არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული მოვალეობების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.[49] ამდენად, დამოუკიდებლობის პრონციპი იცავს ადვოკატს ყოველგვარი შინაგანი თუ გარეშე ზემოქმედებისგან. ადვოკატზე რომელიც იცავს ბრალდებულის ინტერესებს შესაძლოა გავლენის მოხდენის მიზნით ზემოქმედება განახორციელოს, დაზარალებულმა, დაზარალებულის ახლობელმა, პროკურატურამ, სხვა სახელმწიფო ორგანოებმა ანდა სხვა პირმა. ადვოკატის ვალდებულება - არ დაუშვას კომპრომისი კლიენტის ინტერესების საზიანოდ, იცავს ბრალდებულს არასათანადო დაცვისგან.

ნდობის პრინციპის თანახმად, ადვოკატ-კლიენტის ურთიეთობა ეფუძნება ნდობას. ამავე პრინციპით განისაზღვრება ის თვისებები და ღირებულებები რომლებზეც დაფუძნებულია კლიენტის ნდობა ადვოკატის მიმართ. ეს თვისებებია: პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს არ დააყენოს ეჭქვეშ მისდამი კლიენტის ნდობა.[50]

შეიძლება ითქვას რომ, ნდობის ფაქტორი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში განსაზღვრავს საქმის მიმდინარეობას და შედეგებს. თუ ბრალდებულს არ ექნება ადვოკატის ნდობა, არ გაანდობს სრულად იმ ინფორმაციას რაც ადვოკატს ჭირდება ეფექტური დაცვის განხორციელებისათვის, არ გაითვალისწინებს ადვოკატის მიერ მიცემულ რჩევებს და უნდობლობის მოტივით არ მისცემს მას საშუალებას

[48] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006, მ.1
[49] იქვე, მ. 2
[50] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006, მ.3

სათანადოდ განახორციელოს მისი პროფესიული მოვალეობები, დაცვაც ვერ იქნება ეფექტური და ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს.

როგორც წესი, სავალდებულო დაცვის შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დაცვის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფოს მიერ ვალდებულების შესრულება სახელმწიფოს ხარჯზე იქნეს კონკრეტული პირის უფლება დაცული, ივარაუდება ადვოკატ-კლიენტის ურთიეთობაში ნდობის დეფიციტი.[51]ამის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაში ადვოკატის საქმეში ჩართვა ხდება კლიენტის ნებისაგან დამოუკიდებლად და ის მოკლებულია თავად შესაძლებლობას თავად შეარჩიოს პირი რომელიც დაიცავს მის უფლებებს. სწორედ ეს არის წინაპირობა იმისა, რომ ძირითად შემთხვევებში საწყის ეტაპზე, კლიენტის მხირდან არ არსებობს ნდობა ადვოკატის მიმართ. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილია ასეთ შემთხვევებში იმოქმედოს ისე, რომ მოიპოვოს კლიენტის ნდობა.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი ადვოკატის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ადვოკატი, როგორც კლიენტის საუკეთესო ინტერესების დამცველი, კლიენტის ინტერესებს პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს. ამასთან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.[52] აღნიშნული ნორმა , კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ადვოკატის ვალდებულებას, ბრალდებულის დაცვის განხორციელებისას იმოქმედოს კანონის ფარგლებში და არ გადაუხვიოს პროფესიული ეთიკის ნორმებს.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს მოიცავს აგრეთვე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისი მე-10 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადვოკატებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებასთან ერთად, ადგენს, რომ „დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება“.

---

[51] ე. გასიტაშვილი და „სხვები“, ეთიკის კომისიის საქმიანობა კვლევები, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2012-2013, „რედ“ ე. გასიტაშვილი, თბ., 2013, გვ. 21

[52] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006, მ.5

სისხლის სამართლის პროცესში დაცვის საგანს წარმოადგენს ბრალდებულის ინტერესების დაცვა. ბრალდებულის ინტერესი არ შეიძელება შეიზღუდოს მხოლოდ ინტერესით - მიაღწიოს პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გამართლებას. მას შეიძლება სამართალწარმოებაში ქონდეს სხვა ინტერესებიც, რომლებიც, თავის მხრივ შეიძლება იყოს როგორც კანონიერი, ისე უკანონო.[53] ასეთ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა განსაზღვროს ინტერესის ხასიათი , ვინაიდან კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი არ მოიცავს ბრალდებულის უკანონი ინტერესებს და მხოლოდ კანონიერი ინტერესი ექვემდებარება დაცვას.

ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის მიხედვით, ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს, ისე წარმართოს საადვოკატო საქმიანობა, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი. აღნიშნული ვადლებაულება გამომდინარეობს ადვოკატის როლიდან რომელიც ერთის მხრივ კლიენტის წარმომადგენელია, ხოლო მეორეს მხრივ, სამართლიანი სასამართლოს სისტემის ნაწილი, რაც მას კლიენთა, მართლმსაჯულების, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე ავალდებულებს, რომ საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ეთიკის ნორმები დაიცვას.[54]

ინტერესთა კონფლიქტმა შესაძლებელია თავი იჩინოს როგორც მომსახურების დაწყებამდე, ისე მისი განხორციელებისას ან დასრულების შემდეგ, ვინაიდან ადვოკატს პროფესიული ეთიკის კოდექსით მთელი რიგი ვალდებულებები აკისრია როგორც არსებული, ისე ყოფილი კლიენტების მიმართ.[55]ინტერესთა კონფლიქტი შეიძება წარმოიშვეს კლიენტებს შორის, როდესაც ადვოკატი ახორციელებს ერთდროულად რამდენიმე კლიენტის ინტერესების დაცვას, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთს უპირისპირდება.[56] ამდენად, ერთდროულად, ერთ საქმეში ბრალდებული რამდენიმე პირის ინტერესების დაცვა ადვოკატის მხრიდან დაუშვებელია თუ მათი ინტერესები თუნდაც უმნიშვნელოდ იკვეთება. აღნიშნული

[53] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ .56
[54] ე. გასიტაშვილი და „სხვები“, ეთიკის კომისიის საქმიანობა კვლევები, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2012-2013, „რედ“ ე. გასიტაშვილი, თბ., 2013, გვ. 40
[55] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ. 8
[56] ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006, მ. 6

პრინციპი, იცავს როგორც ბრალდებულის ინტერესების უპირატესობას ასევე, მის მიერ ადვოკატსითვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობას.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლი არეგულირებს ურთიერთობას ადვოკატსა და კლიენტს შორის. აღნიშნულ ნორამში დეტალურად არის ჩამოყალიბებული ადვოკატ-კლიენტის ურთირეთობის დაწყების საფუძვლები და ხერხები, აგრეთვე ადვოკატის მოვალეობები და უფლებები აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში.

აღნიშნული მუხლი, ზღუდავს ადვოკატის უფლებას დაცვის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ იმ შემთხვევაში როდესაც ბრალდებულს არ ექნება შესაძლებლობა დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის დახმარებით. ნორმა, ასევე ავალდებულებს ადვოკატს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.[57] კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების ვალდებულება გულისხმობს: ადვოკატის მიერ საქმის სრუყოფილად შეწავლას, სათანადოდ მომზადებას, დაცვის სწორი ტაქტიკის დასახვას, საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებას, და სხვა კანონიერი მოქმედებების განხორციელებას ბრალდებულის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ზემოთ მოცემული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები ემსახურება ბრალდებულის (კლიენტის) უფლებების დაცვას. კერძოდ, ადვოკატებისთვის ამა თუ იმ ვალდებულების დაკისრებით იცავს მათ არასათანადო დაცვისგან. აგრეთვე, მისი მიზანია, ადვოკატთა პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნება და ამაღლება.

ადვოკატთა შესახებ კანონის საფუძველზე, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს და განიხილოს მისი წევრების მიერ პროფესიული სტანდარტების დარღვევის შესახებ შემოსული ინფორმაცია. მანვე უნდა განიხილოს სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული საჩივრები, კლიენტების, კოლეგა ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეებისაგან მიღებული

[57] იქვ. მ.8

საჩივრების ჩათვლით. ადვოკატთა შესახებ კანონი ადგენს სხვადასხვა დისციპლინურ სახდელებს დადასტურებული დარღვევებისთვის, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ჩათვლით.[58]

მართალია, ეთიკის კოდექსი 2006 წელს იქნა მიღებული, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ დისციპლინური პროცედურის დებულებები მხოლოდ 2010 წელს მიიღო დოკუმენტში: „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დიციპლინური წარმოების შესახებ". მანამდე, არც საზოგადოების წევრებს და ზოგადად, არც ასოციაციის წევრებს არაფერი სმენიათ ეთიკის კომისიის მიერ დარღვევების განხილვის ან დისციპლინური ფუნქციების შესრულების შესახებ.[59] დისციპლინური წარმოება წარმოადგენს იმ პროცედურას, რომელსაც ახორციელებს ადვოკატთა პროფესიული დამოუკიდებელი კორპორაცია ანუ ჩვენს შემთხვევაში ადვოკატთა ასოციაცია წევრების მიერ არჩეული ეთიკის კომისიის მიერ. ეთიკის კომისიის წევრების რაოდენობაა 15 რომელთა შორის 12 მოქმედი ადვოკატია, ხოლო 3 კი არაადვოკატი.[60]

დისციპლინური წარმოების შედეგად ადვოკატის მიმართ შესაძლებელია განხორციელდეს დისციპლინური ზემოქმედება (კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა) ან დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე ვადით ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.[61]

კომისიას აქვს ორ საფეხურიანი წარმოება. პირველი საფეხური წარმოადგენს მომჩივანის მიერ განცხადების/საჩივარის საფუძველზე ადვოკატის ირგვლივ პროფესიული ქცევის შესახებ შემოტანილი საკითხის გამოკვლევას.ასეთ კოლეგიებს საპროცესო კოლეგიები ეწოდება[62] რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გარკვეული

---

[58] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ.28 , 34

[59] სამართლის უზენაესობის განმტკიცება, ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევებიდა შესაძლებლობები, თბ., 2012, გვ. 26, https://www.refworld.org უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019.

[60] ი, ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა", 2018, გვ56

[61] საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001, მ. 34

[62] დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ, თბ., 2010, მ. 27

ალბათობით აღიძრას თუ არა ადვოკატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა. აღძვრის შემთხვევაში გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც ერთგვარ „ბრალდებას“ წარმოადგენს და განსახილველად გადასცემს მეორე საფეხურს – განხილვის კოლეგიებს მათი რიგითობის მიხედვით, რომელიც არის „კვაზი სასამართლო“ (ანუ მსგავსი სასამართლო) 3 წევრის შემადგენლობით რომელიც, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოყენებით განიხილავს უკვე არსებულ მტკიცებულებებთან და ინფორმაციასთან ერთად ისმენს მხარეთა პოზიციებს, რის საფუძველზეც ადვოკატთა ასოციაციის სახელით გამოაქვს შემაჯამებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატს მიიჩნევს ბრალეულად პროფესიულ ეთიკის კოდექსის დარღვევაში/დარღვევებში ან არა.[63]

აქვე უნდა განვიხილოთ დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი. კანონის თანახმად ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის; დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძვლები განსაზღვრულია დებულებით, ესენია: ა) პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები, გარდა ანონიმური საჩივრისა. ბ)ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. გ) პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე. დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის წევრის, სარევიზიო კომისიის მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.[64]

დისციპლინური წარმოების მეორე, ანუ ადვოკატთა ასოციაციაში განხილვის ბოლო საფეხური, „კვაზი სასამართლო“ განხილვის კოლეგიის სახით უფლებამოსილია იმსჯელოს ადვოკატის პროფესიული ქცევის (ეთიკის კოდექსის)

---

[63] ი, ყანდაშვილი, გ. ტურაზაშვილი, პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა“, 2018, გვ.56-57

[64] დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ, თბ., 2010, მ.6

მაღალი ალბათობით დარღვევის შემთხვევაში ამ დარღვევის ხარისხის შესახებ. თუ განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნას საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა გარკვეული ვადით ან წევრობის შეწყვეტა (პროფესიული უფლებამოსილების შეწყვეტა), ასეთ შემთხვევაში განხილვის კოლეგია საქმეს გადასცემს ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, ადვოკატსითვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ამ ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში.[65]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თითოეულ პრინციპს, ადვოკატის საქმიანობისთვის სახელმძღვანელო ღირებულების მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრინციპების დაცვა წარმოადგენს თითოეული ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას რომლებიც ემსახურებიან როგორც კლიენტისთვის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფას, ისე ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციის დაცვას. ამ ვალდებულებათა დარღვევა, ან არაჯეროვნად შესრულება კი შეიძება გახდეს დისციპლინური დევნის საფუძველი ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის გზით. ადვოკატთა ასოციაცისს ეთიკის კომისია წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციის თვითრეგულირების მოქნილ მექნიზს რომელიც წარმოადგენს პროფესიული დამოუკიდებლობის ერთ-ერთ ფორმას.

2.4. ადვოკატის როლი გამოძიების სტადიაზე

საქართველოში დღეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია გამოძიების ინსტუტუტი, ე.ი. „უფლებამოსილი პირის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობა,

[65] იქვე, მ. 36

რომლის მიზანია, დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება“.[66]

ეს არის გამოძიების ცნება ფართო გაგებით. შესაძლებელია მისი განმარტება ვიწრო გაგებითაც, რასაც შესაძლოა საფუძვლად დაედოს შემდეგი შინაარსის მსჯელობა: მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, გამომძიებლისა და პროკურორისა გარდა, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ ბრალდების მხარეს, გამოძიების ჩატარება შეუძლია დაცვის მხარესაც - ბრალდებულს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით. მაგრამ ბრალდების მხარისაგან განსხვავებით გამოძიების ჩატარება ბრალდებულის უფლებაა და არა მოვალეობა. ფაქტობრივად დაცვის მხარეს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილება ენიჭება მას შემდეგ, რაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება (ანუ მას შემდეგ, რაც პროცესში გამოჩნდება კონკრეტული პირი ბრალდებულის სახით). მანამდე დაცვის მხარე, რეალურად არ არსებობს. გამოძიებას ატარებს ბრალდების მხარე, რომლის ძირითადი მიზანია ბრალდების დამადასტურებელი - დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვება. სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის გამოჩენა და ადვოკატის მიერ გამოძიების ჩატარება უკავშირდება მხოლოდ ერთ მიზანს - ბრალდებულის სასარგებლო, უდანაშაულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებას. ანუ გამოძიების უფლების პრაქტიკული რეალიზაციით, დაცვის მხარე ცდილობს გამამართლებელი ან ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებების შეკრებას, რათა მათი სასამართლოში წარდგენის გზით დაადასტუროს საკუთარი პოზიცია.[67]

იმისთვის, რომ გამოვიკვლიოთ ადვოკატის როლი და მნიშვნელობა გამოძიების სტადიაზე, აუცილებელია გავარკვიოთ მისი არსი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიება - სისხლის სამართლის პროცესის საწყისი ეტაპია. წარმოადგენს მხარეების მიერ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების

[66] საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 3

[67] გ. მეფარიშვილი, სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფარდობისათვის, ჟურნალი “მართლმსაჯულების მაცნე”, 1996, N1, გვ. 22-26

ჩატარების პროცესს. შეჯიბრებითი პროცესის და მხარეთა თანასწორობის პირობებში, მას შემდეგ რაც დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა გამომძიებელს პროკურორს, ბრალდებულს და მის ადვოკატს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებამოსილება გააჩნიათ. თითოეულ მხარეს უფლება აქვს გამოძება დამოუკიდებლად აწარმოოს - მოიპოვოს და სასამართლოს წარუდგინოს პირის ბრალეულობის დამადასტურებელი და მისი გამამართლებელი მტკიცებულებები. გამოძიების დაწყების საფუძველია ინფორმაცია დანაშაულის შესახებ რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს რაიმე ფორმით ან გამოვლინდა სისხლის სამარლის პროცესის დროს . გამოძიების არსი ისაა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკვაშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოება ობიექტურად, ყოველმხრივ და სრულად იყოს შესწავლილი და გამოძიებული. [68]

სისხლის სამართლიის საპროცესო კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“.[69]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის 167–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე, ან ბრალდებულად ცნობისთანავე თუ ის არ დაუკავებიათ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისის 169–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძიების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.“[70]

როგორც ზემოთ მითითებული ნორმებიდან გამომდინარებს, კანონმდებლობა სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას, პირისთვის ბრალდებულის სტატუსის მინიჭებას უკავშირებს, მის მიერ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის

[68] ჯ. გახოკიძე და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი კერძო ნაწილი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 11-12

[69] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 9

[70] იქვე, მ .167, 169

შესაძლებლობას და პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის ამოქმედებას. გამოძიების პროცესში, სანამ პირს დააკავებენ ან ბრალს წაუყენებენ, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა არ მოქმედებს. ამ დროს არ არსებობს ბრალდებულის სტატუსის მქონე პირი, არც მისი ადვოკატი, ე.ი. დაცვის მხარე.[71] ეს ნიშნავს იმას, რომ პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება გამოძიება, მაგრამ არ აქვს ბრალდებულის სტატუსი მინიჭებული, მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელსაც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ანიჭებს ბრალდებულს და მის ადვოკატს.

ძირითად შემთხვევებში, გამოძების ეტაპი, წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპს. თუმცა , არის შემთხვევები როდესაც გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა ერთდორულად იწყება.[72] მაგალითად, მაშინ როდესაც პირს წაასწრებენ უშუალოდ დანაშაულის ჩადენის მომენტში და შესაბამისად, მოხდება მისი დაკავება იწყება როგორც სისხლისსამართლებრივი დევნა ისე გამოძიება. თუმცა, არის შემთხვევები როდესაც გამოძიება წლების განმავლობაში მიმდინარებს და შემდეგ იწყება სისხლისსამართლებრივი დევნა .

ზემოთ მოცემული მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატი, როგორც დაცვის მხარე სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება ჩაერთოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ და მხოლოს ამის შემდეგ ენიჭება მას შესაძლებლობა განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებამოსილებები. ადვოკატის როლის და უფლება-მოვალეობების დადგენის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიხილოთ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და ადვოკატის უფლებამოსილება აღნიშნულ პროცესებში.

---

[71] „სიფა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციებუ, თბ., გამოცემულია „ღია საზოგადოება-საქართველოს“, მხარდაჭერით, თბ., 2015 გვ. 26, http://alfg.ge. უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019

[72] თ. ლალიაშვილი, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 47

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველია გამოძების სტადიაზე შეკრებილ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა დანაშაული ჩაიდინა.[73]

ბრალის წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. სწორედ ამ მომენტიდან ითვლება პირი ბრალდებულად და იძენს ბრალდებულის საპროცესო სტატუსს.[74]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, პირს ბრალდება უნდა წაეყენოს ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ბრალდების შესახებ დადგენილების გაცნობისას ბრალდებულს განემარტება მისი უფლება-მოვალეობები, ასევე ბრალდებულს და მის ადვოკატს გადაეცემათ ბრალდების დადგენილებისა და ბრალდებულის უფლება მოვალეობების წერილობითი ნუსხა რასაც ისინი ადასტურებენ ხელმოწერით.[75]

ბრალის წაყენების დროს ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულო არ არის. თუმცა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიმალვაში მყოფი ბრალდებულისთვის ადგენს ბრალის წაყენების განსხვავებულ წესს. კერძოდ, თუ ბრალდებული მიმალვაშია პროკურორის მიერ ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ მოძიებულ უნდა იქნეს აღნიშნული პირის ახლო ნათესავი, რომელსაც უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა ადვოკატის ასაყვანად. თუ ბრალდებულის ახლო ნათესავი განსაზღვრულ ვადაში არ აიყვანს ადვოკატს, ბრალდებულს ადვოკატი დაენიშნება სავალდებულო წესით. მიმალვაში მყოფი

---

[73] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 3

[74] მ. ლომსაძე, სისხლის სამრთლის პროცესი, თანდართული ტესტების ნიმუშები, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2015, გვ.345

[75] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 492

ბრალდებულის ადვოკატს ბრალდების მხარე გააცნობს ბრადების შესახებ დადგენილებას, რაც ჩაითვლება ბრალის წაყენებად.[76]

სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ იწყება აგრეთვე პირის დაკავებით. დაკავება თავისი არსით წარმოადგენს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ხელშეუვალობის შეზღუდვას[77]. დაკავება არის საპროცესო მოქმედება, რომელიც ხასიათდება თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად გამოიყენება, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ: ა) პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვისაც კანონით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა; ბ) პირი მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში; გ) პირი გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას;დ) პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავებისთანავე პირს განემარტება ე.წ „მირანდას უფლებები“, კერძოდ, ადვოკატის აყვანის უფლება, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება არ დაიბრალოს დანაშაული და რომ ყველაფერი, რასაც იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.[78] ამდენად, დაკავებისთანავე ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლება გარანტირებულია, უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მიხედვით, დაკავებულისთვის ადვოკატის აყვანის უფლების განმარტებამდე მისგან მიღებული ყველა მტკიცებულება დაუშვებელია და არ აქვს იურიდიული ძალა.[79]

დაკავებულ პირს უნდა მიეცეს ადვოკატთან დაუყოვნებლივ დაკავშირების შესაძლებლობა, ვინაიდან მას არ გააჩნია სათანადო ცოდნა და გამოცდილება გადაწყვეტილება მიიღოს ისეთ მნიშნელოვან საკითხებთან დაკავშირებით

---

[76] [76] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 496

[77] საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995, მ. 13

[78] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 113

[79] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდქსი, თბ., 2009, მ. 174

როგორმლებიც პრაქტიკულად განსაზღვრავს საქმის მიმდინარებას. კერძოდ, აღიაროს თუ არა დანაშაული, რა ინფორმაცია მიაწოდოს გამოძებას, გამოიყენოს თუ არა დუმილის უფლება და სხვ. ამდენად, მისთვის აუცილებელია დახმარება გაუწიოს კვალიფიციურმა ადვოკატმა რათა, სწორად იქნეს შერჩეული დაცვის ტაქტიკა და ხერხები.

დაკავებისას ადვოკატმა უნდა გამოიკვლიოს მთელი რიგი გარემოებები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია დაადგინოს ხომ არ ქონდა ადგილი დაკავების საპრიცესო წესის დარღვევას ვინაიდან ასეთი დარღვევა შეიძლება გახდეს პირის დაუყოვნებლივ გათავისუფლების საფუძველი.[80] გამომდინარე იქიდან რომ, ბრალდებულს ხშირ შემთხვევაში არ აქვს საპროცესო კანონმდებლობის სათანადო ცოდნა, ადვოკატის დახმარების გარეშე თავად ვერ შეძლებს შეაფასოს და დაადგინოს დაირღვა თუ არა მისი უფლებები და აღნიშნულის შესაბამისად მიიღოს ადეკვატური ზომები, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული უფლებების გამოყენებაში უნდა გამოიხატოს.

დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგიდაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.[81]

დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი გამოძების ადგილის მიხედვით მაგისტრანტ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. თუ ამ ვადაში შუამდგომლობა არ წარედგინა სასამართლოს დაკავებული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.[82]

სასამართლოზე ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე განიხილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხი და მოწმდება დაკავების კანონიერება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ ბრალდებული დაკავებულული არ არის, ბრალდების შესახებ დადგენილების მისთვის

[80] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 116

[81] მ. ლომსაძე, სისხლის სამრთლის პროცესი, თანდართული ტესტების ნიმუშები, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2015, გვ. 347

[82] საქართველოს სისხლის სამრთლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 196

გადაცემიდან არა უადრეს 24 საათისა და არაუგვიანეს 48 საათისა პროკურორი მიმართავს სასამართლოს ზემოთხსენებული შუამდგომლობით. ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა იმართება მოსამართლისთვის შუამდგომლობის წარდგენიდან არაუგვიანეს 24 საათისა. აღნიშულ პროცესს ესწრება დაცვის მხარეც. ადვოკატს შეუძლია წარადგინოს შუამდგომლობა ან საჩივარი ბრალდებულის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. მხარეები მონაწილეობენ სხდომის თანაბარ საწყისებზე, ისინი უფლებამოსილი არიან სასამართლოს წარუდგინონ შუამდგომლობის შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია. შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში ადვოკატი ასაბუთებს თავის მოთხოვნას, ხოლო პროკურორის მიერ შუამდგომლობის დასაბუთების შემდეგ ადვოკატს ეძლევა სიტყვა, სადაც მას შეუძლია სასამართლოს ყურადღება გაამახვილოს პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების არასაკმარისობაზე, აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე, ან უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობაზე. ადვოკატი უფლებამოსილია სასმართლოს წარუდგინოს შუამდგომლობის შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია.[83]

აღკვეთის ღონისძიებებში მოიაზრება სისხლის საპრცესო სამართლებრივი იძულება, რომელიც გამოიყენება ბრალდებულის მიმართ.[84] აღკვეთის ღონისძიებებიდან აღსანიშნავია პატიმრობა , რომელიც უკიდურეს ღონისძიებას წარმოადგენს და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და გულიხმობს მაგისტრანტი მოსამართლის მიერ განსაზღვრული ვადით (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს) ბრალდებულის საპყრობილეში მოთავსებას. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ, თავიდან იქნას არიდებული სასამართლოს მიერ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება, მნიშვნელოვანია ადვოკატის მონაწილება.

---

[83] საქართველოს სისხლის სამრთლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 206

[84] Дувинский А.Я., Сербулов А.М., Меры прессечения в советском уголовном процессеб, Киев, 1980 ст.28

ისმის კითხვა, შეიძლება რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას ბრალდების და დაცვის მხარე თანაბარი შესაძლებლობების მქონე მხადეებად მივიჩნიოთ? მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ანალიზით ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ რომ - არა. ბრალდების მხარე გამოძიებას იწყებს დანაშუალის შესახებ ინფორმაციის მიღების მომენტიდან და მას შეუძლია ჩაატაროს ყველა საგამოძიებო მოქმედება, მაგალითად, ჩხრეკა, დათვალიერება, გამოკითხვა და სხვა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ ერთვება პროცესში დაცვის მხარე და ენიჭება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები აწარმოოს გამოძიება და მოიპოვოს მტკიცებულება. შესაბამისად, ადვოკატს აქვს მხოლოდ 48 საათი იმისათვის რომ მოემზადოს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენი სხდომისთვის.

პრაქტიკულ–უფლებრივი თვალსაზრისით, პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება გამოძიება, მაგრამ არ აქვს ბრალდებულის სტატუსი მინიჭებული, მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს ის უფლებები და შესაძლებლობები, რასაც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ანიჭებს სსსკ–ის საფუძველზე ბრალდებულს და მის ადვოკატს და რომლებიც მნიშვნელოვანია იმსითვის, რომ სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების საკითის განხილვისას დაცვის მხარემ შეძლოს დაცვის ფუნქციის სათანადოდ განხორციელება.[85]

ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეში ჩამოაყალიბა „ბრალდების“ ავტონომიური ცნება. ამ საქმეებში მთავარი საკითხი იყო შეფასება იმისა, ხომ არ დაირღვა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული უფლებები.

საქმეში კანგასლუომა ფინეთის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდება პირისთვის წარდგენილად ჩაითვლება, inter alia, როდესაც მის საქმეზე დაწყებულია წინასწარი გამოძიება და თუმცა არ არის დაკავებული, განმცხადებელს

[85] „სიფა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციებუ, თბ., გამოცემულია „ღია საზოგადოება-საქართველოს“, მხარდაჭერით, თბ., 2015 გვ 27, http://alfg.ge, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019

ოფიციალურად ეცნობა გამოძიების დაწყების შესახებ ან ამ ფაქტმა დაიწყო მასზე ზეგავლენის მოხდენა.[86]

მორიგ საქმეში – ფოტი და სხვები იტალიის წინააღმდეგ – ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ბრალდება", ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიზნებისათვის, შეიძლება ზოგადად განისაზღვროს, როგორც კომპეტენტური ორგანოს ოფიციალური შეტყობინება დანაშაულებრივი ქმედებებისთვის ბრალდების შესახებ, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, „ბრალდება" შეიძლება გამოიხატოს იმგვარი ღონისძიების ფორმით, რომელსაც აქვს ბრალდების შინაარსი და რომელიც, ასევე არსებითად ზემოქმედებს ეჭვმიტანილის მდგომარეობაზე. [87]

საქმეში დეევერი ბელგიის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივ ბრალდებად ჩაითვალა ვითარება, როცა განმცხადებელს დაულუქეს მაღაზია, თუმცა, ამ დროს მას, ბელგიის კანონმდებლობით, არ ჰქონდა მინიჭებული ბრალდებულის სტატუსი. აქ განმსაზღვრელი გახდა ევროპული სასამართლოს შეფასება, რომ სიტუაციამ არსებითი ზემოქმედება მოახდინა ეჭვმიტანილზე. [88]

საქმეში ქიომე და სხვები ბელგიის წინააღმდეგ, „ბრალდება" წარდგენილად ჩაითვალა განმცხადებლის ბინისა და ოფისის ჩხრეკის დღიდან. [89]

ამდენად, დაკავების ან ბრალის ოფიციალურად წაყენების გრადა , ევროპული სასამართლო ბრალდების წაყენებად მიიჩნევს სიტუაციას, როდესაც პირისთვის სხვადასხვა ფორმით ცნობილი ხდება, რომ მის მიმართ დაწყებულია გამოძიება ან სამართალდამცავ ორგანოთა მოქმედებები ზემოქმედებას ახდენს კონკრეტულ პირზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, პირს მიენიჭოს ბრალდებულის სტატუსი გამოძიების დაწყების მომენტიდან, როცა მას ეცნობა ამის შესახებ ან გამოძიების ფაქტმა დაიწყო მასზე ზემოქმედების მოხდენა, რაც არასწორად

---

[86] Kangasluoma v. Finland, no 48339/99, ECHR, 14 june 2004, პარაგრაფი 26

[87] Fotti and others v. Italy, no 7604/76, 7719/76, 7781/77, 7913/77, ECHR, 10 december 1982, პარაგრაფი 52

[88] Deweer v. Belgium, no 6903/75, ECHR, 27 february 1980, პარაგრაფი 46.

[89] Coeme and others v. Belgium, no 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96, ECHR, 18 October 2000, პარაგრაფი133.

მიგვაჩნია და ვთვლით, რომ მხარეთა რეალური თანასწორობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბრალდებულის სტატუსის არმქონე პირს, რომლისთვისაც ცნობილი გახდა მის მიმართ დაწყებული გამოძიების შესახებ ან/და მის მიმართ განხორციელდა კონკრეტული საგამოძიებო მქომდება (ჩხერეკა, ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება და სხვ), მიეცეს საშუალება ისარგებლოს ევროპული კონვენციის მე–6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით[90], კერძოდ, მიიღოს საქმის მასალები, ჰქონდეს მტკიცებულებათა წარდგენის შესაძლებლობა; და რაც ყველაზე მთავარია აწარმოოს დაცვა ადვოკატის მეშვეობით და სხვ. ხოლო, მას შემდეგ რაც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით დაიწყება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ისარგებლებს ბრალდებულის დამატებითი უფლებებით.

საპროცესო კანონმდებლობით დაცვის მხარეს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს გამოძიება. დაცვის ეს უფლება გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით, სადაც აღნიშნულია, რომ ბრალდებულს უფლება აქვს „დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება ამ კოდექსით დადგენილი წესით, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან/და პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად. მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში, მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების დროს.“[91]

აღნიშნულიშნული უფლება, ემსახურება იმას, რომ ბრალდებულს გააჩნდეს სისხლის სამართლის პროცესში ეფექტური დაცვისთვის საკმარისი საშუალებები. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შეჯიბრებითი პროცესის პირობებში

[90] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი, 1994, მ. 6

[91] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 38

მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენასა და გამოკვლევაზე პასუხისმგებელი არიან მხარეები. ამიტომ, ბრალდებულის ჯეროვანი დაცვის უზრუნველსაყოფის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატს კანონმდებელი საშუალებას აძლებს, რომ ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად მოიპოვოს და წარადგინოს სასამართლოში მტკიცებულებები საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე ბრალდების მხარიგან დამოუკიდებლად განსაზღვრავს გამოძიების ფარგელბს და ჩასატარებელ საგამოძებო მოქმედებებს.[92]

თითოეული საგამოძიებო მოქმედება გათვალისწინებულია კანონით და მისი ჩატარების წესი რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით. სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს პრონციპი „ყველაფერი აკრძალულია, რაც არ არის ნებადართული“.[93] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ბრალდებული უფლებამოსილია ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედებები და თავის სასარგებლოდ მოიპოვოს მტკიცებულებები. ბრალდებული აღნიშნული უფლებების რეალიზაციას ახდენს პირადად ან ადვოკატის მეშვეობით.[94]

სისხლის სამართლის საპორცესო კოდექსის 111-ე მუხლი ადგენს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ზოგად წესებს. მუხლის პირველი ნაწილი, პირდაპირ მიუთითებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას მხარეთა თანაბარ უფლება მოვალეობებზე. აღნიშნული მუხლი ადგენს დაცვის მხარის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სპეციალურ წესს, რაც 2014 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. ამ ნორმის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ჩაატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი რომელიც აწარმოებს გამოძიებას მოცემულ საქმეზე. ამ შემთხვევაში გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელამა, ხოლო

[92] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ 184

[93] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2018, გვ. 191

[94] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 131

საგამოძიებო მოქმედების ჩატარებამდე მისი ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია უნდა ეცნობოს დაცვის მხარეს. ადვოკატს უფლება აქვს მონაწილება მიიღოს დაცვის მხარის შუამგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში რომლის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებიც ეკისრება ბრალდებულს.[95]

აღნიშნული სიახლე დადებითად უნდა შეფასდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა, ამ ცვლილების შედეგად წარმიშვა სერიოზული პრობლემაც. კერძოდ, ასეთი საგამოძებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეათე ნაწილის საფუძველზე ენიჭება ბრალდების მხარეს. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში მხარემ შეიძლება დანამდვილებით არ იცოდეს საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპივებულ მტკიცებულებას როგორი გავლენა ექნება საქმისთვის, შეიძლება მოპოვებული იქნეს ისეთი მტკიცებულება რომელიც საზიანო იქნება დაცვის პოზიციისთვის. ამდენად, დაცვის მხარეს, ეზღუდება უფლება თავად შეაფასოს მისი შუამგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ხაიათი და მიიღოს გადაწყვეტილება მის გამოყენებასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ მას არ ეკისრება ვალდებულება ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი მტკიცებულება დაურთოს საქმეს და წარადგინოს სასამართლოში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37–ე მუხლის მე– 2 ნაწილის თანახმად კი, ადვოკატისგან გასხვავებით, გამომძიებელი ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.[96] ამიტომ, თუ ბრალდების მხარე, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულების გამოკვლევისას დაადგენს, რომ ამ მტკიცებულებას მნიშვნელობა აქვს საქმის გარემოებათა ობიექტური, ყოველმხრივი და სრული გამოძიებისათვის, მისი ვალდებულება იქნება მტკიცებულება და მისი გამოკვლევის შედეგები საქმეში

[95] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 366

[96]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 37

ასახოს. ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ დაცვის მხარემ იშუამდგომლა და მოითხოვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარება რომლის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას ბრალდების მხარე მის წინააღმდეგ გამოიყენებს.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება. კერძოდ, დაცვის მხარის შუამგომლობით საგამოძიებო მოქმედების ჩაატარების უფლება მიენიჭოს ადვოკატს ხოლო, 120-ე მუხლის მეათე ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით : დაცვის მხარის შუამგომლობით ამოღებული საგანის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცვლელი დოკუმენტის პირველიადი გამოკვლევის უფლება აქვს დავცის მხარეს. ამით, დაცვის მხარეს საშუალება მიეცემა მისივე შუამგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება თავდაპირველად თავად გამოიკვლიოს და თავადვე გადაწყვიტოს მისი შემდგომში გამოყენების საკითხი.

საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სუბიექტები არიან მხარეები, რომლებსაც გააჩნიათ თანაბარი-უფლება მოვალეობები. საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაცული უნდა იყოს მისი ჩატარების წესი და ფარგლები. თუ საგამოძიებო მოქმედების ჩატარება სურს ბრალდებულს და მის ადვოკატს, ასეთ შემთხვევაში ის წარადგენს დასაბუთებულ შუამდგომლობას სასამართლოში საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე სასამართლოს განჩინების გაცემის თაობაზე. ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათან დაკავშირებით დაცვის მხარის უფლებები ბრალდების მხარის უფლებებთან შედარებით შეზღუდულია. საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად დაცვის მხარე გადაუდებელი აუცილებლობიბისას საკუთარი დადაგენილებით, ვერ ჩაატარებს საგამოძიებო მოქმედებას და ვერ მიმართავს სასამართლოს მისი კანონიერად ცნობის მოთხოვნით.[97] აქედან გამომდინარე, დაცვის მხარე ბრალდების მხარიგან განსხვავებით არ არის უფლებამოსილი ესა თუ ის საგამოძებო მოქმედება რომლის

[97] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2018, გვ. 192

ჩატარებისთვისაც საჭიროა სასამრთლოს განჩინება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში.

სასამართლო შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ განჩინების გაცემის შესახებ განიხილავს შუამდგომლობისა და მისი განხილვისათვის საჭირო მასალაების შესვლიდან 24 საათში. როგორც წესი, შუამდგომლობა განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, თუმცა სასამართლოს უფლება აქვს შუამდგომლობა განიხილოს მისი დამყენებელი მხარის მონაწილეობით. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ საჭიროა შუამდგომლობაში მოყვანილი ცალკეული გარემოებების დაზუსტება. მხარის შუამდგომლობა, საგამოძიებო მოქმედების ჩატაერების შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარს და იყოს დასაბუთებული. ზედმიწევნით უნდა იყოს მითითებული: რას ითხოვს მხარე; ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედება; რა არის მისი ჩატარების მიზანი; სსსკ-ს რომელი ნორმის საფუძველზე აყენებს ამ შუამდგომლობას; ფაქტები და არგუმენტები, რომელიც მიუთითებს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე; კომკრეტული ფაქტები და საქმის გარემოებების ანალიზი.[98]

ადვოკატს უფლება აქვს მონაწილება მიიღოს მისი ინიციატივით ჩატარებულს საგამოძიებო მოქმედებაში, ასევე საგამოძიებო მოქმედებაში რომელშიც ბრალდებული მონაწილებს. დავცვის მხარეს უფლება არ აქვს ჩაატაროს ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებები - მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, და სხვა.[99] შესაბამისად ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, განვიცილოთ ის საგამოძიებო მოქმედებები, რომელთა ჩატარების უფლებაც დაცვის მხარეს გააჩნია, რათა გავარკვიოთ მისი

[98] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 358-359

[99] იქვე. 356

უფლებამოსილების ფარგლები და დავადგინოთ რეალურია თუ არა მხარეებს შორის არსებული თანასწორობა გამოძიების პროცესში.

გამოკითხვა საპროცესო კანონმდებლობაში სრულიად ახალი საგამოძიებო მოქმებდებაა, რომელსაც ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი. „ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლოა ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოკითხულ იქნეს მხარეთა მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცია.“[100]

გამოსაკითხი პირი არ იძენს მოწმის სტატუსს, ვინაიდან არ ხდება მისი გაფრთხილება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. გამოკითხვის ოქმი წარმოადგენს საფუძველს იმისთვის, რომ გამოკითხული პირი დაკითხული იქნებს სასამართლოში მოწმის სახით. [101]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ბრალდების მხარს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თმის შემთხვევაში განუმარტოს გამოსაკითხ პირს, რომ ის შეიძლება დაბარებულ იქნას მაგისტრანტ მოსამართლესთან ჩვენების მისაცემად, და რომ ჩვენების მიცემა სავალდებულოა. [102]აღნიშნული უფლებამოსილება არ აქვს ადვოკატს რაც მიგვაჩნია რომ არსებითად არათანაბარ პირობებში აგდებს ბრალდების მხარესთან მიმართებით და არღვევს ადამაინის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე -6 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებულის უფლებას გამოიძახოს და დაკითხოს მოწმეები ბრალდების მხარის მოწმეებთან თანაბარ პირობებში[103] ამდენად , აუცილებელია 113- მუხლის მე-7 ნაწიში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს, რომ აღნიშნული უფლებამოსლებით სარგებლობელობენ მხარეები და არა მხოლოდ ბრალდების მხარე.

---

[100] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 113

[101] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015 გვ 378

[102] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 113

[103] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი, 1994, მ. 6

გამოძიების დროს დაკითხვა - ხდება მხარის (როგორც დაცვის ისე ბრალდების) შუამდგომომლობის საფუძველზე. მოწმე იკითხება სასამართლოში მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე. პირი გამოძიების სტადიაზე მოწმედ შეიძება დაიკითხოს თუ: არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, ის დიდი ხნით ტოვებს საქართველოს ტერიტორიას, საქმის სასამართლოში არსებითად განსახილველად წარმართვისათვის აუცილებელი მტკიცებულების სხვა წყაროდან მოპოვება საჭიროებს არაგონივრულ ძალისხმევას, ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნული გარემოებების არსებობა განაპირობებს მოწმის დაკითხვას გამოძიების სტადიაზე. აღნიშნული შუამდგომლობის დაყენებასთან დაკავშირებით ადვოკატი და პროკურორი თავად იღებენ გადაწყვეტილებას.[104]

საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით, მოწმის დაკითხვა შესაძლებელია წარმოებულ იქნას მეორე მხარის ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. ასეთ შემთხვევაში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა თუ საქმის არსებითი განხილვის დროს შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა.[105] აღნიშნული დებულება, იმ შემთვევაში თუ მოწმის ხელახალი დაკითხვა შეუძლებელი გახდება საქმის არსებითი განხილვის დროს, მოგვაჩნია, რომ შეზღუდავს ბრალდებულის საერთაშირისო აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებას გამოიკვლიოს ბრალდების მხარის მტკიცებულებები.

ამოღება და ჩხრეკა - საგამოძიებო მოქმედებებია რომლებიც ატარებენ იძულებითი ღონისძების ხასიათს, რადგან მათი ჩატარებით იზღუდება ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, დაცუდლი და გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციითა და საეთაშორისო აქტებით. ამიტომ ეს საგამოძიებო მოქმედებები

[104] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები", სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი", 2015, გვ. 378-380

[105]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 114

ექვემდებარება სასამართლოს კონტროლს. არსებობს კონტროლი ორი ფორმა : წინასწარი ანუ „სანებართვო“ და შემდგომი ანუ „შემოწმებითი“.[106]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის თანახმად, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ჩხრეკა და ამოღება ტარდება იმ მიზნით, რომ ამოღებული და აღმოჩენილი იყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთირება , ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი. [107] ამ მუხლის დეფინიციიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები მხარეებს საშუალებას აძლევს მოიპოვის საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება.

ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების უფლება ადვოკატს თავად არ გააჩნია , ვინიდან როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებულს საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ უნდა იყოს იგივე პირი ვინც გამოძიებას აწარმოებს ამ საქმეზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩხრეკა და ამოღება გამომძიებლის დადგენილებით, შეიძლება ჩატარდეს გადაუდებელი აუცილებლობისას სასამართლოს განჩინების გარეშე როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო მტკიცებულება აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების შედეგად, ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე. ასეთ შემთხვევაში, პროკურორმა საგამოძიებო მოქმედების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში უნდა აცნობოს მოსამართლეს და გადასცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები. მოსამართლე ზეპირი მოსმენის გარეშე წვეტს შუამდგომლობას და ამოწმებს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას, ის უფლებამოსილია შუამდგომლობის გადაწყვეტისას მოიწვიოს მხარეებიც.[108] ამდენად, ადვოკატმა შეიძლება

[106] მ. ლომსაძე, სისხლის სამართლის პროცესი, მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2018, გვ. 205
[107] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ.119
[108] იქვე, მ. 112

მონაწილეობა მიიღოს მოსამართლის მიერ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული საგამოძებო მოქმედების კანონიერების შემოწმებაში.

ადვოკატი მონაწილეობს მისი დასაცავი პირის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებში, ასევე იმ მოქმედებებში, რომლებიც ტარდება ბრალდებულის მონაწილეობით. მას დროულად უნდა შეატყობინონ ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების დრო და ადგილი. სისხლის სამართლი საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს; ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი. თუ ადვოკატი არასაპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამოძებო მოქმედებააში, მის მონაწილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროკურორი ვალდებულია საგამოძიებო მოქმედება ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა, ამ ვადის გასვლისთანავე პროკურორი ატარებს საგამოძიებო მოქმედებას ადვოკატის მონაწილეობის გარეშე, თუ არ არის სავალდებულო დაცვის შემთხვევა.[109] ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ მართალია ადვოკატი საკუთარი ბრალეულობით არ მონაწილეობს საგამოძიებო მოქმედებაში, თუმცა ბრალდებულის ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვებელია საგამოძებო მოქმედება ჩატარდეს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე. ამიტომ, უმჯობესი იქნება პროკურორმა ბრალდებულს განუსაზღვროს გონივრული ვადა ადვოკატის შესაცვლელად.

ადვოკატს უფლება აქვს ჩაატაროს ამოცნობა და მონაწილება მიიღოს ბრალდებულის მონაწილეობით ჩატარებულ ამოცნობაში. ამოცნობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამეორება დაუშვებელია, გარდა იმ შემთვევისა, როცა წინა ამოცნობა ფოტოსურათით ჩატარდა. ამ საგამოძიებო მოქმედები ჩატარებისას დაშვებული შეცდომები შემდგომში არ შეიძლება გამოსწორდეს. ამიტომ, ადვოკატი უნდა დარწმუნდეს, ემთხვევა თუ არა ის ნიშან-თვისებები, რაც

[109] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ 122

გამოკითხვისას დაასახელა ამომცნობმა ნიშან-თვისებებს, რომლებიც შემდეგ მან ამოცნობისას მიუთითა. ჩატარებული ამოცნობა დაუშვებელი მტკიცებულება იქნება , თუ ამომცნობი ვერ მიუთითებს ისეთ ნიშან-თვისებებზე რომლებიც საკმარისი არის ამოსაცნობი პირის ან საგნის იდენტიფიკაციისთვის ან თუ ამომცნობს მიანიშნეს ამოსაცნობ ობიექტზე.[110] აქედან გამომდინარე, ამოცნიბის დროს ადვოკატის მონაწილება აუცილებელია, რათა ზედამხედველობა გაუწიოს ამოცნობის მიმდინარეობის კანონიერებას და იმას, რომ ამომცნობ პირზე არავინ მოახდინოს ზეგავლენა.

მხარეებს უფლება აქვს ჩატაროს საგამოძიებო ექსპერიმენტი მიღებული ინფორმაციის და გამოძიების დროს წარმოშობილი ვერსიის შესამოწმებლად.[111] თუ ხდება ბრალდებულის ჩვენების შემოწმება ადვოკატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ბრალდებულს მიეცეს შესაძლებლობა განმარტებები მისცეს სხვათა ჩაურევლად, კარნახისა და პასუხის მიმანიშნებელი კითხვების გარეშე. ხოლო, თუ ექსერიმენტი ტარდება გამოსაკვლევი გარემოების აღდგენად, ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს შეესაბამება თუ არა იგი შესამოწმებელ ვერსიას. მას უფლება აქვს დასვას კითხვები, მოითხოვოს საცდელ მოქმედებეთა გამეორება, მონაწილეობა მიიღოს აღმოჩენილი საგნის, დოკუმენტის, კვალის, თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის დათვალიერებაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.[112]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე მუხლის მიხედვით საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენის მიზნით, როდესაც აღნიშნული გარემოების დადგენა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადვოკატს უფლება აქვს დანიშნოს ექსპერტიზა. ამისათვის , ეს უკანასკნელი ადგენს მიმართვის წერილს და უგზავნის საექსპერტო დაწესებულებას. ადვოკატის მიმართვა სავალდებულოა საექსპერტო დაწესებულებისთვის.[113]

---

[110] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 123

[111]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 129

[112] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 411-412

[113] იქვე, გვ. 449

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146–ე მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს, მოთხოვნისთანავე გადასცეს ექსპერტის დასკვნა. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია ადვოკატმა წინასწარ განიჭვრიტოს დასკვნის ხასიათი, მოგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულებით წარმოიშობა დაცვისთვის საზიანო მტკიცებულების მეორე მხარისთვის გადაცემის საფრთხე.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ უმჯობესი იქნება ექსპერტის დასკვნის მეორე მხარისთვის გადაცემა მოხდეს მტკიცებულებათა გაცვლისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი საერთო წესებით.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი მე-9 მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ამავე კოდექსის, 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. ხოლო 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათავლისწინებული ბრალებულის უფლება გამოითხოვოს მტკიცებულება რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.[114]

სასამართლოში დამკვიდრდა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობების არდაკმაყოფილების პრაქტიკა, რადგან მიიჩნეოდა, რომ ასეთი შუამდგომლობა, თავისი არსით იყო ამოღების შესახებ შუამდგომლობა. სსსკ-ს 39-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს მეშვეობით მტკიცებულების მოპოვების უფლება განიმარტებოდა იმგვარად, რომ იგი ეხებოდა მხოლოდ საგამოძიებო და სხვა საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას სასამართლოსთვის დახმარებით მიმართვის შემთხვევებს. გამოთხოვა კი, რამდენადაც, არც საგამოძიებო მოქმედებაა და არც სხვა საპროცესო მოქმედებების

[114] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 33, 38

თავშია მითითებული, არ განიხილება სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობად.[115]

ზემოთ მოცემული მასალის ანალიზი ცადყოფს, რომ ბრალდებული და მისი ადვოკატი მოკლებული არიან შესაძლებლობას კერძო პირთაგან სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვონ მტკიცებულება რომელიც შესაძლოა არსებითად მნიშვნელოვანი იყოს საქმისთვის იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარეს ეს უფლება პირდაპირ აქვს გაწერილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ყოველივე ეს, არღვევს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპს და დაცვის მხარეს აყენებს არათანაბარ პირობებში ბრალდების მხარესთან. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და პირდაპირ, ხაზგასმით განისაზღვროს ბრალდებულის უფლება თავად ან ადვოკატის დახმარებით სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება.

საქართველოს სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება თუ მხარეებს მისი უშუალო და ზეპირად გამოკვლევის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ამიტომ, პროცესის შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად ამავე კოდექსის 83-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა მიერ მტკიცებულებების გაცვლის საკითხს და პროცედურას. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს მტკიცებულების გაცვლის ორ სახეს: ინფორმაციის გაცვლასმოთხოვნის რეჟიმში და ინფორმაციის სავალდებულო წესით გაცვლა, რაც თავის მხრივ ორ ქვესახედ იყოფა: წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე გაცვლის ვალდებულება და ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე.[116]

---

[115] „სიფა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციებუ, თბ., გამოცემულია „ღია საზოგადოება-საქართველოს“, მხარდაჭერით, თბ., 2015, გვ. 34, http://alfg.ge უკანასკნელად იქნა გადამოწმებული, 06.06.2019

[116] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 299

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარმოდგენასაც ბრალდების მხარე აპირებ, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები, ხოლო მას შემდეგ რაც ბრალდების მხარე დააკმაყოფილებს ზემოთხსენებულ მოთხოვნას უფლებამოსილია მიიღოს ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად წარმოდგენასაც დაცვის მხარე აპირებს.[117]ამდენად, გამოძიების პროცესში , მას შენდეგ რაც დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ადვოკატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაცნობა, თუმცა აღნუშნული უფლებით სარგებლობა წარმოშობს ბრალდების მხარის უფლებას თავისი ვალდებულების შესრულების შემდეგ მოითხოვოს დაცვის მხარის მტკიცებულებების გადაცემა. მიგვაჩნია, რომ ამ უფლებით სარგებლობის დროს აუცილებელია სიფრთხილე ადვოკატის მხრიდან, მან სტრატეგიულად სწორად უნდა მიიღოს გადაწვეტილება ამ უფლებით სარგებლობის შესახებ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. რადგან, შესაძლოა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობდეს გნსაკუთრებულით მნიშვნელოვანი მტკიცებულება რომელის ბრალდების მხარისათვის გადაცემა წინასასამართლო სხდომამდე არ იყოს მიზანშეწონილი და შეიცავდეს გარკვეულ რისკებს.

აღსანიშნავია, რომ მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულების შეუსრულებლობას მოსდევს პროცესუალირ-სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, ინფორმაციის გაცვლოს მოთხოვნის მომენტისთვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

აღნიშნული რეგულაციიდან არსებობდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი დაცვის მხარის სასარგებლოდ. კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადებული, 84-ე მუხლის თანახმად, დაცვის მხარის მიერ ერთი ისეთი მტკიცებულების წარუდგენლობა,

[117]საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 83

რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი დაცვის უზრუნველსაყოფად არ იწვევდა სასამართლოში მის დაუშვებლად ცნობას.[118]მიგვაჩნია, რომ მოცემულ რეალობაში, სადაც ბრალდების მხარეს აქვს უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით, რომელშიც იგულისხმება 83-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი და ამასთან, ბრალდების მხარეს აქვს უზარმაზარი რესურსები ადვოკატთან შედარებით რაც შეუძლებელს ხდის რეალური თანასწორობის უზრუნველყოფას მხარეებს შორის, 84-ე მუხლის ამოღება და ბრალდებულისათვის ამ საგამონაკლისო უფლების წართმევა არ იყო მიზანშეწონილი.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ შეჯიბრებით სისხლის სამრთლის პროცესში გამოძიების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რაც გამოიხატება იმაში, რომ მხარეები ამ სტადიაზე თავად უზრუნველყოფენ მოიპოვონ მტკიცებულებები რომელზე დაყრდნობითაც სასამართლოში დაადასტურებენ თავიანთ პოზიციას ადვოკატის მონაწილება აუცილებელია და მას განსაკუთრედბული როლი ენიჭება ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი ან ბრალდების შესამსუბუქებელი მტკიცებულებების მოპოვების კუთით. გამაომდინარე იქიდან, რომ ბრალდებულის ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობა ადვოკატსაც შეუძლია მიზანშეწონილად მიგვაჩნია თითოელ პირს რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამრთლის დანაშაულის ჩადენა თავი დაიცვას არა პირადად არამედ ადვოკატის მეშვეობით . სხვაგვარად ის ვერ შეძლებეს გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებების მოპოვებას და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას რადგან ამას ჭირდება გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევები და საპროცესო კანონმდებლობის ცოდნა რაც ბრალდბეულს ბრალდებულს არ გააჩნია.

2.5. ადვოკატი სასამართლოში

[118]გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 240-241

გამოძიების დასრულების შემდეგ საქმე გადაეცემა სასამართლოს. მაგრამ, სანამ სასამართლო არსებითად შეუდგება საქმის განხილვას, მანამდე იმართება წინასასამართლო სხდომა - რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთ ძირითად სტადიას. წინასასამართლო სხდომა იმართება იმისთვის, რომ წინასწარ იყოს გარკვეული მხარეთა პოზიცია და შემოწმდეს მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობა. ამ ეტაპზე მოსამართლე არკვევს არსებობს თუ არა საკამრისი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი საქმე იყოს გადაცემული სასამართლოში არსებითად განსახიველად.[119]

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო განიხილავს მხარეთა შუამდგომლობას მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ. ადვოკატს წინასასამართლო სხდომაზე შეუძლია მოითხოვოს ბრალდების მხარის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა, აღკვეთის ღონისძების შეცვლა ან გაუქმება, დააყენოს შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, დამატებითი მოწმეების გამოძახების შესახებ და ა.შ[120]

წინასანამართლო სხდომაზე მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ, თუ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს ვარაუდისათვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა.[121]

მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა სრული სახით ვლინდება სასამართლოში. შეჯიბრებითი პროცესის არსებითი კომპონენტია მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მოსამართლე რომელიც არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. იგი მოვალეა მხარეებს შეუქმნას სათანადო პირობები მათი საპროცესო უფლებების რეალიზაციისთვის, პირველ რიგში კი მტკიცებულებების წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისთვის.

[119] ჯ. გახოკიძე და „სხვები“, სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015, გვ. 281-282

[120] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 162-163

[121] იქვ, გვ.164

შეჯიბრობითობის სისტემის შემოღებამდე, სასამართლო პროცესებზე, მტკიცებულებების გამოქვეყნება და მოწმეთა დაკითხვა სასამართლოს ფუნქცია-მოვალეობა იყო. ახლა კი, ეს ტვირთი მთლიანად მხარეებზეა გადასული და მათი მოვალეობაა წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები და დაკითხონ მოწმეები. მხარეთა თანასწორობა გულისხმობს მათ აღჭურვას თანაბარი უფლება-მოვალეობებით. დაცვისა და ბრალდების მხარეს აქვთ ერთნაირი შესაძლებლობები გამოიყენონ სამართლებრივად დაშვებული საპროცესო საშვალებები თავიანთი პოზიციის, შეხედულების და მოთხოვნის დასაბუთებითვის და მეორე მხარის მოთხოვნებისა და მტკიცებულებების გასაქარწყლებლად. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ აქვთ განსხვავებული საპროცესო მდგომარება, რადგან მტკიცების ტვირთი აწევს ბრალმდებელს, ხოლო ყოველგვარი ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.[122]

ერთ-ერთი ყველაზე მნიშნელოვანი სტადია სისხლის სამრთლწარმოებაში არის საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში. სწორედ ამ ეტაპზე წარადგენენ მხარეები გამოძიების სტადიაზე მათ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს მოსამართლეებისა თუ ნაფიცი მსაჯულების წინაშე.

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მხარეთა მიერ შესავალი სიტყვების წარმოდგენამდე, სასამართლომ უნდა მისცეს შესაძლებლობა მართლმსაჯულების განცორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დააყენონ ცალკეული შუამდგომლობები. კერძოდ, აცილების შუამდგომლობა, დამატებითი მტკიცებულების წარმოდეგნის შესახებ შუამდგომლობა, ახალი მტკიცებულების მოპოვების შესახებ შუამოდგომლობა და სხვ. ერთი მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს.[123]

---

[122] შ. ტრეექსელი, სამერსი სარა ს-კ დახმარებით, „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, „მთარგმნ“ ვ. გოგელია და „სხვები“, „სარედაქ კოლეგია“ კ. ვარძელაშვილი და „სხვები“, თბ., 2009, გვ.122

[123] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 622-623

საქმის არსებით განხილვაზე ადვოკატის მონაწილეობა პირობითად შეიძლება დაიყოს 2 ნაწილად: მონაწილება მტკიცებულებათა გამოკვლევაში და დაცვითი სიტყვის წარმოთქმა.[124]

მტკიცებულებათა გამოკვლევის დაწყებამდე მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა სასამართლოს წინაში წარდგნენ შესავალი სიტყვებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ბრალდების მხარეს აძლევს უფლებას წარადგინოს შესავალი სიტყვა. ამის შემდეგ კი ადვოკატსა და ბრალდებულს ეძლევათ უფლება წარადგინონ დაცვის შესავალი სიტვა.[125] ამდენად, შესავალი სიტყვით გამოდის ჯერ პროკურორი ხოლო მას შემდეგ რაც ის დაასრულებს შესავალი სიტყვის წარმოთქმას სიტყვა ეძლევა დაცვის მხარეს. ამასთან , აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ შესავალი სიტყვის წარმოთქმა მხარეთა უფლებაა და არა ვალდებულება.

შესავალი სიტყვით სასამართლოს წინაშე წარდომა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია მხარეთათვის. ეს არის პირველი ეფექტი, პირველი შთაბეჭდილება, რომელიც მხარემ უნდა მოახდინოს სასამართლო შემადგენლობაზე.[126] შესავალი სიტყვით ეფექტურად და თავდაჯერებულად გამოსვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაფიც-მსაჯულთა წინაშე, ეს არის მხარის შესაძლებლობა მათზე მოახდინოს ზეგავლენა და დაარწმუნოს თავის პოზიციის სიცხადეში. მითუმეტეს, რომ მოსამართლისგან განსხვავებით ნაფიცი-მსაჯულები არ არიან გაცნობილი საქმის მასალებს და შესაბამისად, საქმეზე მათი წარმოდგენის ჩამოყალიბება ხდება სწორედ მხარეების მიერ წარმოთქმული შესავალი სიტყვებით.

შესავალი სიტყვა შედგება რამდენიმე ასპექტისგან: 1) ეს არის თემა, ერთი ან ორი წინადადებისგან შემდგარი განხადება, რომელიც აჯამებს თუ რას ეხება საქმე და მოსამართლეს/ნაფიც-მსაჯულს უქმნის ფსიქოლოგიურ საყრდენს; 2) ეს არის ამბავი,

---

[124] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 167

[125] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 241

[126] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 704

რომელსაც მხარე თავაზობს სასამართლოს (მხარის ვერსია საქმეზე რომელიც მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს); 3) ეს არის მოთხოვნა სასამართლოსადმი. [127]
შესავალი სიტყვის დროს ადვოკატმა უნდა წარმოადგინოს მთავარი საკითხები რომლებზეც მომავალში აპირებს ყურადღების გამახვილებას, მოკლედ უნდა გაუსვას ხაზი მტკიცებულებებს რომელთა გამოკვლევის შედეგად დადასტურდება მის მიერ შესავალ სიტყვაში წარმოთქმული ვერსია, შეუძლია შეეხოს პროკურორის შესავალ სიტყვას და მოიყვანოს მისი მცდარობის დამდასტურებელი კონკრეტული ფაქტები, შესავალი სიტყვის ბოლოს მან უნდა გამოთქვას იმედი, რომ მოცემულ სამეზე გამოტანილი იქნება ერთადერთი, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება - გამამართლებელი განაჩენი. რაც მთავარია ადვოკატი უნდა იყოს თავდაჯერებული და არ უნდა გადააჭარბოს საქმის გარემოებებს.

ადვოკატის მიერ შესავალი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ იწყება მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესი. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლით განსაზღვრულია მტკიცებულებათა გამოკვლევის ზოგადი წესი. ამ მუხლის თანახმად, პირველად უნდა მოხდეს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლება, ხოლო შემდგომ - დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა. თითოეული მხარე მონაწილეობს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების გამოკვლევაში მას შემდეგ რაც მტკიცებულების წარმომდგენი მხარე დაასრულებს საკუთარი მტკიცებულების გამოკვლევას.[128]

მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში, ადვოკატმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ საკითებზე, როგორიცაა პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების რელევანტურობა და დასაშვებობა. მართალია, დასაშვებობის საკითხი უკვე განხილულია წინასასამართლოს სხდომაზე, მაგრამ თუ სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატის პოზიცია ბრადების მხარის მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე, მას შეუძლია გამოიკვლიოს-უფლებამოსილი პირის მიერ არის თუ

[127] იქვე, გვ. 705
[128] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 242

არა მოპოვებული, კანონიერი წყაროდა არის თუ არა იგი მიღებული, დაცულია თუ არა მისი მოპოვების საპროცესო წესი, არის თუ არა სარწმუნო და სხვ.[129]

ადვოკატს სასამართლო პროცესის მსვლელობის დროს, მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე, შეუძლია მოითხოვოს დეპონირებული ჩვენების საჯაროდ წაკითხვა ან ვიდეოჩანწერის მოსმენა იმ შემთხვევაში თუ: მოწმე გარდაიცვალა,არ იმყოფება საქართველოში,მისი დგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი სასამართლოში წარმოდგენის ყველა გონივრული შესაძლბლობა. დეპონირებული ჩვენება არის მოწმის მიერ გამოძიების დროს მაგისტრი მოსამართლისათვის მიცემული ჩვენება.[130]

სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად მოწმის ჩვენებას შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც წესი, მოწმე დაკითხვისას საუბრობს იმ ფაქტების ირგვლივ, რომლებიც მან უშუალოდ დაინა, მოისმინა ან სხვაგვარად აღიქვა.[131]

შეჯიბრებით სისტემებში დაკითხვას, რომელსაც მხარე ატარებს თავის მოწმესთან, ეწოდება პირდაპირი დაკითხვა, ხოლო რომელსაც ატარებს მოწინააღმდეგე მხარის მოწმესთან ეწოდება ჯვარედინი დაკითხვა. ეს ორი ტიპის დაკითხვა ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც თავიანთი მიზნებით, ისე მეთოდებით, რომლებსაც მხარეები იყენებენ დასახული მიზნების მისაღწევად.[132]

პირდაპირი დაკითხვის წესი მოცემულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლიში, რომლის თანახმად, პირდაპირი დაკითხვის დროს დაუშვებელია პასუხის მიმანიშნებელი კითხვების დასმა. მხარეს აქვს უფლება

[129] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 169-170

[130] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015, გვ. 706

[131] გ. თუმანიშვილი, სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 212-218

[132] გ. ჩხეიძე, ჰერბერტ დ. ბოუმანი, ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 44

დააყენოს შუამდგომლობა მიმანიშნებელი შეკითხვის განრიდების ან/და ასეთი შეკითხვისა და მასზე პასუხის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.[133]

დაცვის ხელოვნება მდგომარეობს მიზანმინართული პირდაპირი დაკითხვის ჩატარებაში. მან უნდა შეარჩიოს გარკვეული თანმიმდევრობით ისეთი შეკითხვები, რომ მოწმე აღმოჩნდეს ფაქტობრივად დაცვის თეორიის, დაცვის სასარგებლო ისტორიის მთხრობელი. ადვოკატმა უნდა დასვას კითხვები ლოგიკური თანმიმდევრობით რათა წაიყვანოს თხრობა იმ მიმართულებით რომელიც მის სამართლებრივ პოზიციისთვის იქნება დაკავშირებული.[134] ამდენად, ადვოკატი წინასწარ, კარგად უნდა მოემზადოს დაკითხვისთვის, უნდა ქონდეს გაცნობიერებული ის ინფორმაცია რომელსაც მოწმე ფლობს რათა განსაზღვროს როგორ დასვას კითხვები ისე, რომ მოწმისგან ამოიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია რომელიც მის პოზიციაზე დადებითად აისახება.

ჯვარედინი დაკითხვა სასამართლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. როგორც ამბობენ, ჯვარედინი დაკითხვა შეჯიბრებითი პროცესის გულია. ჯვარედინ დაკითხვას გააჩნია ორი ზოგადი მიზანი: 1) მხარისთვის სასურველი ვერსიის სააშკარაოზე გამოტანა და 2) ოპონენტის ვერსიის მოშლა, რასაც „დესტრუქციული დაკითხვა“ ქვია, მისი მიზანია მოწმის ან მის მიერ მიცემული ჩვენების დისკრედიტაცია.[135]

როდესაც ადვოკატი არ იზიარებს მოწმის ჩვენებას, ეჭვი ეპარება მის სანდოობაში, ან მიაჩნია მას, რომ მოწმეს არ აქვს გარკვეული გარემოებების სწორად აღქმის, დამახსოვრების და გადმოცემის უნარი შეუძლია დაკითხოს მოწმე ჯვარედინი წესით და დაარწმუნოს სასამართლო/ნაფიცი მსაჯულები მოწმისა და მის მიერ მიცემული ჩვენების არასანდოობაში. ჯვარედინ დაკითხვას მხარე ატარებს იმ შემთხვევაშიც, თუ თვლის, რომ პირდაპირი დაკითხვის დროს მოწინააღმდეგე

[133] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
[134] ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 171-172
[135] გ. ჩხეიძე, ჰერბერტ დ. ბოუმანი, ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014, გვ. 55

მხარემ თავი აარიდა გარკვეული შეკითხვების დასმას რათა მოწმეს არ გაეუღერებინა მისთვის არასასურველი ინფორმაცია.[136] ამდენად, ჯვარედინი დაკითხვის შედეგად ადვოკატს შეუძლია მოწმის დისკრედიტაცია რათა- მის მიერ მიცემული ჩვენება არ იქნას გაზიარებული სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს ან, იმის დემონსტრირება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოწმის მიერ მიცემულ ჩვენებაშიც კი დასტურდება დაცვის მხარის პოზიციის სიცხადე.

პირდაპი და ჯვარედინი დაკითხვის დასრულების შემდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 246-ე მუხლი, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ჩაატარონ ხელხალი პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვა. ხელახალი პირდაპირი დაკითვის დროს მხარე შეზღუდულია ჯვარედინი დაკითხვის ფარგლებით, ხოლო ხელახალი ჯვარედინი დაკითხვის დროს ხელახალი პირდაპირი დაკითხვის ფარგლებით.[137] აღნიშნული, წარმოადგენს ადვოკატის შესაძლებლობას გამოასწოროს ჯვარედინი დაკითხვი შედეგები და სასამართლო დაარწმუნოს მისი მოწმის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობაში ამ უკანასკნელისთვის ერთგვარი განმარტების მიცემის გზით.

როგორც მოგვეხსენება, გამოძიების ეტაპზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს პირის გამოკითხვის შესაძლებლობას რომლის დროსაც დგება გამოკითხვის ოქმი.[138] თუ მოწმის მიერ სასამართლოში მიცებული ჩვენება წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ გამოძიების დროს მიცემულ ინფორმაციასთან, საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილი მხარეს აძლევს შესაძლებლობას მთლიანად ან ნაწილობრივ გაასაჯაროოს მოწმის გამოკითხვის ოქმი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეს სურს დაანახოს სასამართლოს მოწმის არასანდოობა იმ მოტივით, რომ მისმა ჩვენებამ აღარ

[136] ლ. ფაფიაშვილი და „სხვები“, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ, 636
[137] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009, მ. 246
[138] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მ,113

მოახდინოს გავლენა განაჩენის გამოტანის დროს და მოახდინოს მოწმის დისკრედიტაცია.

მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ, მხარეებს ეძლევათ დასკვნითი სიტყვის წარდგენის შესაძლებლობა. დასკვნითი სიტყვის მიზანია მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგების შეჯამება და განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით მხარის მიერ საკუთარი ვერსიის მხარდაჭერა. დასკვნითი სიტყვა ადვოკატისთვის მოსამართლეზე/ნაფიც მსაჯულზე შთაბეჭდილების მოხდენის ბოლო შესაძლებლობაა. ამის გამო არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ადვოკატმა მისი არგუმენტები ლოგიკურად და დამაჯერებლად წარმოაგინოს. მან მოსამართლეს/ნაფიც მსაჯულებს უნდა აუხნას, თუ რატომ ამყარებს სასამართლოზე მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მის მოთხოვნას.[139]

დასკვნითი სიტყვის დროს, ცალკელულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადვოკატმა ხაზი უნდა გაუსვას მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების სისუსტეს, ბრალდების უსაფუძვლობას, მის მიერ წარმოდგენილი ვერსიის სარწმუნოობას. ადვოკატი უნდა იყოს თავდაჯერებული, ემოციური და შეძლოს ფსიქოლოგიური ზემოქმედება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოზე. დასკვნით სიტყვაში ადვოკატმა უნდა ამტკიცოს, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ ადასტურებენ პირის ბრალეულობას და შესავალ სიტყვაში გამოთქმული იმედი, რომ საქმეზე დადგება ერთადერთი, სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილება - გამამართლებელი განაჩენი აქციოს მოთხოვნად.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ბრალდებულის ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ადოკატი სასამართლოში ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს როგორც წინასასამართლო სხომაზე, ისე საქმის არსებითი განხილვის

[139] ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI) ,შესავალი სიტყვა, დასკვნითი სიტყვა, (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბილისი 2014, გვ 39

დროს. ზემოთ მოცემული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირინციპი სრულყოფილად არის რეალიზებული საქმის სასამართლოში განხივის სტადიაზე, ნათლად დავინახეთ, რომ თითოეულ მხარეს შეუძლია დაუბრკოლებლად გამოხატოს პოზიცია, გამოიკვლიოს როგორც საკუთარი ისე მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, დააყენოს შუამდგომლობა, მოითხოვოს აცილება და სხვა. სწორედ ამიტომ, ადვოკატის მონაწილება სასამართლოში აუცილებელია ვინაიდან, სასამართლო განაჩენის გამოტანისას ეყრდნობა მხარეთა მიერ სხდომაზე წარმოდგენილ ურთიერთშეთავსებად და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აქედან გამომდინარე, ადვოკატის როლი უმნიშნელოვანესია საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე, მას შეუძლია ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაქარწყლება, საკუთარი მტკიცებულებების სწორად გამოკვლევის შედეგად დაცვის პოზიციის გამყარება, ბრალდების მხარის მოწმეებისგან მითვის სასიკეთო ინფორმაციის მიღება და ა.შ.

თავი III. კვლევის შედეგები

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ადვოკატის როლის ანალიზი და მიმოხილვა სისხლის სამართლის პროცესში. ნაშრომზე მუშაობისას სიღრმისეულად გამოვიკვლიეთ ყველა არსებითი საკითხი როგორც ზოგადად ადვოკატის პროფესიასთან, ისე სისხლის სამართლის პროცესში მის საპროცესო ფუნქციებთან მიმართებაში.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ბრალდებულის პროცესუალურ უფლებებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას დაცვის უფლება წარმოადგენს. სწორედ ეს უფლება, ანიჭებს მას კანონი ადვოკატის

მოწვევის შესაძლებლობას რაც გარანტირებულია როგორც საერთაშორისო აქტებით ისე საქართველოს კანონმდებლობით.

კვლევის პროცესში, გამოვიკვლიეთ ადვოკატის სტატუსი რომელიც განსაზღვრულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით. გამოვლინდა, რომ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ცდილობს აამაღლოს ადვოკატთა პროფესიული მომზადების დონე რათა საზოგადოების მხრიდან ადეკვატური იყოს ამ პროფესიისადმი მიდგომა და ამაღლდეს ადვოკატთა კორპუსის მიმართ ნდობის ხარსხი.

ამ კუთხით, აღსანიშნავია ის ცვლილება რომელიც 2018 წლის მაისში გატარდა. ვგულისხმობთ, ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის პროგრამას რომელიც სავალდებულო გახდა გაიაროს ყველა პირმა რომელიც ჩააბარებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდას. ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკული კურსს, რომლებიც მისცემს მომავალ ადვოკატებს უდიდეს ცოდნას და გამოცდილებას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენენ ადვოკატის პროფესიის წარმატების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან დეტალებს და რომელთა შესწავლის შესაძლებლობა ამ ცვლილების განხორციელებამდე რეალურად არ არსებობდა საადვოკატო პრაქტიკის დაწყებამდე. თუმცა, ის ფაქტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს ადვოკატის სტაჟიორის ინსტიტუტს და შესაბამისად, ის არ არის უფლებამოსილი განახორციელოს სისხლის სამარათლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო ფუნქციები ადვოკატთან ერთად ნიშნავს იმას, რომ პროგრამის მონაწილე პირები მხოლოდ ტექნიკური დახმარების კუთხით შეძლებენ მონაწილეობის მიღებას მენტორის საქმიანობაში.

ასევე გამოვლინდა, სხვა ცვლილებები რომლებიც ადვოკატის პროფესიის სათანადო სიმაღლეზე განვითარების კუთხით გატარდა. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გახდა ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით ჩარევა, კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი ადვოკატის შესახებ და სხვა. აღნიშნული

ცვლილებები მნიშვნელოვანია, რადგან ადვოკატის საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე დაცვა საადვოკატო საქმიანობის უკეთ განხორციელების საშუალებაა და ემსახურება როგორც ადვოკატის ისე კლიენტის ინტერესების დაცვას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ასევე შევისწავლეთ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხები. საკითზე მუშაობამ აჩვენა, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის თითოეულ პრინციპს, ადვოკატის საქმიანობისთვის სახელმძღვანელო ღირებულების მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული პრინციპების დაცვა წარმოადგენს თითოეული ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას რომლებიც ემსახურებიან როგორც კლიენტისთვის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურების უზრუნველყოფას, ისე ადვოკატთა პროფესიული რეპუტაციის დაცვას და ისინი წარმოადგენენ ბრალდებულის არასათანადო მომსახურებისგან დაცვის გარანტიას.

კვლევამ აჩვენა, რომ როდესაც პირს არ შეუძლია, სათანადოდ დაიცვას თავი წარდგენილ ბრალდებაში, მართლმსაჯულების სრულყოფილად განსახორციელების მიზნით, შეჯიბრებითობაზე დამყარებულ სამართალწარმოებაში სწორედ ადვოკატი არის ბრალდებულის უფლებების და თავისუფლებების დაცვის გარანტორი. ადვოკატი, როგორც იურიდიული პროფესიის წევრი, არის ბრალდებულის ინტერესების წარმომადგენელი რომელსაც განსაკუთრებული პასუხიმგებლობა ეკისრება მართლმსაჯულების მაღალი ხარისხისთვის. ადვოკატი, როგორც ბრალდებულის ინტერესების დამცველი არის მხარე შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის საფუძველზე და შესაბამისად არ არის ნეიტრალური მხარე, მას არ ევალება დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება, მისი მთავარი მოვალეობაა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და კანონიერების ფარგლებში მიაღწიოს მისი უდანაშაულობის დამტკიცებას ან პასუხისმგებლობის შემსუბუქებას.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ნაშრომზე მუშაობის პროცესში სიღრმისეულად გამოვიკვლიეთ ადვოკატის უფლება-მოვალეობები გამოძების სტადიაზე. ამ ნაწილზე მუშაობისას გამოვლინდა, რომ გამოძიების პროცესში რომელიც შეიძლება წლების მანძილზე მიმდინარეობდეს, სანამ პირს დააკავებენ ან

ბრალს წაუყენებენ, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა არ მოქმედებს. ეს ნიშნავს იმას, რომ პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება გამოძიება, მაგრამ არ აქვს ბრალდებულის სტატუსი მინიჭებული, მოკლებულია შესაძლებლობას იქონიოს ის უფლებები და შესაძლებლობები, რომელსაც მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი ანიჭებს ბრალდებულს და მის ადვოკატს.

კვლევამ აჩვენა, რომ საპროცესო კანონმდებლობით დაცვის მხარეს მინიჭებული აქვს უფლება ჩაატაროს გამოძიება, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება. აღნიშნულიშნული უფლება, ემსახურება იმას, რომ ბრალდებულს გააჩნდეს სისხლის სამართლის პროცესში ეფექტური დაცვისთვის საკმარისი საშუალებები.

სისხლის სამართლის საპორცესო კოდექსის 111-ე მუხლი ადგენს დაცვის მხარის მიერ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სპეციალურ წესს, რაც 2014 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდა. ამ ნორმის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ჩაატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი რომელიც აწარმოებს გამოძიებას მოცემულ საქმეზე. აღნიშნული სიახლე დადებითად უნდა შეფასდეს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფის კუთხით. თუმცა, ასეთი საგამოძებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეათე ნაწილის საფუძველზე ენიჭება ბრალდების მხარეს. იქიდან გამომდინარე, რომ ხშირ შემთხვევაში მხარემ შეიძლება დანამდვილებით არ იცოდეს საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპივებულ მტკიცებულებას როგორი გავლენა ექნება საქმისთვის, შეიძლება მოპოვებული იქნეს ისეთი მტკიცებულება რომელიც საზიანო იქნება დაცვის პოზიციისთვის. ამდენად, დაცვის მხარეს, ეზღუდება უფლება თავად შეაფასოს მისი შუამგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების ხაიათი და მიიღოს გადაწყვეტილება მის გამოყენებასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, რომ მას არ ეკისრება ვალდებულება

ბრალდებულისათვის ზიანის მომტანი მტკიცებულება დაურთოს საქმეს და წარადგინოს სასამართლოში.

გამოვლინდა, რომ დაცვის მხარე ბრალდების მხარიგან განსხვავებით არ არის უფლებამოსილი ესა თუ ის საგამოძებო მოქმედება რომლის ჩატარებისთვისაც საჭიროა სასამრთლოს განჩინება ჩაატაროს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში. ასევე, მას უფლება არ აქვს ჩაატაროს ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებები - მაგალითად, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება, საბანკო ანგარიშების მონიტორინგი, და სხვა. შესაბამისად ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას ამ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს. ასევე, ადვოკატი ბრალდების მხარისგან განსხვავებით, არ არის უფლებამოსილი გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში მიმართოს მაგისტრანტ მოსამართლეს შუამდგომლობით დაკითხოს აღნიშნული პირი.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოების დადგენის მიზნით, როდესაც აღნიშნული გარემოების დადგენა სპეციალური ცოდნის გარეშე შეუძლებელია ადვოკატს უფლება აქვს დანიშნოს ექსპერტიზა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146–ე მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, „ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს, მოთხოვნისთანავე გადასცეს ექსპერტის დასკვნა“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისი მე-9 მუხლის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. ამავე კოდექსის, 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით. ხოლო 38-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათავლისწინებული ბრალებულის უფლება გამოითხოვოს მტკიცებულება რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად.

მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი მხარეს ანიჭებს უფლებას-სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს მტკიცებულება. უნდა აღინიშნოს, რომ პროკურორის უფლება მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს პირდაპირ გაწერილია 33-ე მუხლში. თუმცა, 38-ე მუხლში, რომელიც განსაზღვრავს ბრალდებულის უფლებებს, საუბარია მის ზოგად უფლებაზე გამოითხოვოს მტკიცებულება, მაგრამ არ არის მითითებული, რომ გამოთხოვა შესაძლოა განხორციელდეს სასამართლოს მეშვეობით რის გამოც, სასამართლოში დამკვიდრდა მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ დაცვის მხარის შუამდგომლობების არდაკმაყოფილების პრაქტიკა. ამდენად, ბრალდებული და მისი ადვოკატი მოკლებული არიან შესაძლებლობას კერძო პირთაგან სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვონ მტკიცებულება რომელიც შესაძლოა არსებითად მნიშვნელოვანი იყოს საქმისთვის იმ პირობებში, როდესაც ბრალდების მხარეს ეს უფლება პირდაპირ აქვს გაწერილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

კვლევის შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ გარდა მხარეთა მიერ მტკიცებულებათა გაცვლის საერთო წესისა, არსებობს მტკიცებულებათა გაცვლის სხვა შემთხვევა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა, ადვოკატს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაცნობა, თუმცა აღნუშნული უფლებით სარგებლობა წარმოშობს ბრალდების მხარის უფლებას თავისი ვალდებულების შესრულების შემდეგ მოითხოვოს დაცვის მხარის მტკიცებულებების გადაცემა.

83-ე მუხლის ანალიზმა ცხადყო, რომ სასამართლომ შეიძლება ბრალდების მხარეს მისცეს უფლება არ გაუმჟღავნოს დაცვის მხარეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების, ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულების შეუსრულებლობას მოსდევს პროცესუალირ-სამართლებრივი შედეგი. კერძოდ, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის მომენტისთვის არსებული მასალის მხარისათვის

სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში, სიღრმისეულად შევისწავლეთ ადვოკატის უფლება-მოვალეობები სასამართლოში და მის უფლებამოსილების განხორციელების საშუალებები და დავადგინეთ, რომ ბრალდებულის ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ადოკატი სასამართლოში ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს როგორც წინასასამართლო სხომაზე, ისე საქმის არსებითი განხილვის დროს. მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პირინციპი სრულყოფილად არის რეალიზებული საქმის სასამართლოში განხივის სტადიაზე, ნათლად დავინახეთ, რომ თითოეულ მხარეს შეუძლია დაუბრკოლებლად გამოხატოს პოზიცია, გამოიკვლიოს როგორც საკუთარი ისე მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, დააყენოს შუამდგომლობა, მოითხოვოს აცილება და სხვა. აქედან გამომდინარე, ადვოკატის როლი უმნიშნელოვანესია საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზე, მას შეუძლია ბრალდების მხარის მტკიცებულებების გაქარწყლება, საკუთარი მტკიცებულებების სწორად გამოკვლევის შედეგად დაცვის პოზიციის გამყარება, ბრალდების მხარის მოწმეებისგან მითვის სასიკეთო ინფორმაციის მიღება და ა.შ

დასკვანა

აღნიშნული ნაშრომით შევეცადეთ სრულყოფილად წარმოგვეჩინა ადვოკატის როლი სისხლის სამართლის პროცესში და ბრალდებულის მიერ ადვოკატის დახმარებით სარგებლობის უფლების გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა.

დასახული მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ ადვოკატის საპროცესო უფლება-მოვალეობები, კომპეტენცია, მისი დანიშნულება სისხლის სამართალწარმოებაში და გამოვიკვლიეთ არის თუ არა უზრუნველყოფილი მხარეთა რეალური თანასწორობა და შეჯიბრებითობა. კვლევის პროცესში, კანონმდებლობაში აღმოვაჩნეთ გარკვეული ხარვეზები, კოლიზიური ნორმები, რომელიც საფრთხეს უქმნის დაცვის ეფექტურ და ბრალდების მხარესთან თანასწორ მდგომარეობაში განხორციელებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაცვის მხარე თავად ვერ ატარებს საგამოძიებო მოქმედებას და ამასთან, მისივე შუამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებას თავდაპირველად იკვლევს ბრალდების მხარე. შესაბამის თავში, საკმაოდ ვრცლად განვიხილეთ ასევე ის რისკები რომლებსაც აღნიშნული ნორმა წარმოშობს. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება. კერძოდ, დაცვის მხარის შუამგომლობით საგამოძიებო მოქმედების ჩაატარების უფლება მიენიჭოს ადვოკატს ხოლო, 120-ე მუხლის მეათე ნაწილი შეიცვალოს და დაცვის მხარის შუამდგომლობით ჩატარებუილი ჩხრეკა/ამოღების შედეგად ამოღებული საგანის, ნივთის, ნივთიერების, აგრეთვე ინფორმაციის შემცვლელი დოკუმენტის პირველიადი გამოკვლევის უფლება მიეცეს დავცის მხარეს. ამით, მას საშუალება მიეცემა მისივე შუამგომლობის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება თავდაპირველად თავად გამოიკვლიოს და თავადვე გადაწყვიტოს მისი შემდგომში გამოყენების საკითხი.

ასევე რეალური შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის უმჯობესი იქნება, 113-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და დაცვის მხარესაც მიეცეს შესაძლებლობა გამოსაკითხი პირის მიერ გამოკითხვაზე უარის თქმის შემთხვევაში მოითხოვოს მაგისტრანტ მოსამართლესთან მისი დაკითხვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146–ე მუხლის მე–4 ნაწილის თანახმად, ექსპერტიზის ინიციატორი მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს, მოთხოვნისთანავე გადასცეს ექსპერტის დასკვნა. გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელია ადვოკატმა წინასწარ განიჭვრიტოს დასკვნის ხასიათი, მოგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულებით წარმოიშობა დაცვისთვის საზიანო მტკიცებულების მეორე მხარისთვის გადაცემის საფრთხე. ამიტომ, აუცილებელია ექსპერტის

დასკვნის მეორე მხარისთვის გადაცემა მოხდეს მტკიცებულებათა გაცვლისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი საერთო წესებით.

აუცილებელია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილში განხორციელდეს ცვლილება და პირდაპირ, ხაზგასმით განისაზღვროს ბრალდებულის უფლება თავად ან ადვოკატის დახმარებით სასამართლოს მეშვეობით გამოთხოვოს საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულება. ამგვარად შესაძლებელი გახდება იმ სასამართლო პრაქტიკის აღმოფხვრა რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

აგრეთვე, გამომდინარე იქიდან, რომ ბრალდების მხარეს აქვს უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით, რომელშიც იგულისხმება 83-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი და ამასთან, ბრალდების მხარეს აქვს უზარმაზარი რესურსები ადვოკატთან შედარებით რაც შეუძლებელს ხდის რეალური თანასწორობის უზრუნველყოფას უმჯობესი იქნებოდა ძალაში დარჩენილიყო 84-ე მუხლი რომელიც ითვალისწინებდა დაცვის მხარის საგამონაკლისო უფლებას.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილება, ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა რეალური შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფას, თავიდან იქნება აცილებული ბრალდებულის საპროცესო უფლებების დარღვევა და ადვოკატს მისცემს შესაძლებლობას უფრო ეფექტურად განახორციელოს მისი უმიშვნელოვანესი ფუნქციები, რაც წარმოადგენს როგორც ბრალდებულის, ისე მართლმაჯულების უშუალო ინტერესს.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივა (ABA ROLI) ,შესავალი სიტყვა, დასკვნითი სიტყვა, (სახელმძღვანელო იურისტებისთვის), თბილისი 2014;
2. აბაშიძე გ., დამცველი სისხლის სამართლის პროცესში, (წინასწარი გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე), თბ., გამომც. „ჩხორია-2009“, 2010;
3. აქუბარდია ი., დაცვის ხელოვნება, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011;
4. ბოჭორიშვილი ნ., სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება საქართველოში, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012;
5. გასიტაშვილი ე და „სხვები“., ეთიკის კომისიის საქმიანობა კვლევები, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2012-2013, „რედ“ ე. გასიტაშვილი, თბ., 2013;
6. გახოკიძე ჯ და „სხვები“., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი მესამე გამოცემა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015;
7. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014;
8. ლალიაშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილი, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015;
9. ლომსაძე მ., სისხლის სამრთლის პროცესი, თანდართული ტესტების ნიმუშები, მეხუთე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბ., გამომც. „ბონა კაუზა“, 2015;
10. ლომსაძე მ., სისხლის სამართლის პროცესი, მეშვიდე გადამუშავებული გამოცემა, თბ., გამომც. „კაუზა“, 2018;
11. მეფვარიშვილი მ., სისხლისსამართლებრივი დევნის და გამოძიების თანაფვარდობისათვის, ჟურნალი “მართლმსაჯულების მაცნე”, 1996, N1;
12. მოლიტერნო ჯ, ჯორჯ ჩ. ჰარისი. , ადვოკატთა პროფესიული ეთიკის გლობალური საკითები თბ., 2014;
13. მსხილაძე ლ., დაცვის მხარის როლი შეჯობრებით სამართალწარმოებაში, თბ., ჟურნალი. „ადვოკატი“, 2014, N 3-4;

14. ტრექსელი შ, სამერსი სარა ს-კ დახმარებით., „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, „მთარგმნ“ ვ. გოგელია და „სხვები“, „სარედაქ კოლეგია“ კ. ვარძელაშვილი და „სხვები“, თბ., 2009;
15. ფაფიაშვილი ლ და „სხვები“., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2015;
16. ფაფიაშვილი ლ და „სხვები“., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017;
17. ყანდაშვილი ი, ტურაზაშვილი გ., პროფესია-ადვოკატი, თბ., გამომც. „პეტიტა“, 2018;
18. ჩხეიძე გ, ჰერბერტ დ. ბოუმანი., ადვოკატირება სისხლის სამართლის პროცესში ქართველი იურისტებისათვის, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2014;
19. სამართლის უზენაესობის განმტკიცება, ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევებიდა შესაძლებლობები, თბ., 2012;
20. „სიფა“ საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციებუ, თბ., გამოცემულია „ღია საზოგადოება-საქართველოს“, მხარდაჭერით, თბ., 2015;

უცხოური ლიტერატურა

21. Дувинский А.Я., Сербулов А.М., Меры прессечения в советском уголовном процессеб, Киев, 1980;
22. Кони А.Ф., Нравственные начала в уголовном процессе. Извранные произведения, 1956 г;

სასამართლო პრაქტიკა

23. Coeme and others v. Belgium, no 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96, 33210/96, ECHR, 18 October 2000;

24. Kangasluoma v. Finland, no 48339/99, ECHR, 14 june 2004;
25. Fotti and others v. Italy, no 7604/76, 7719/76, 7781/77, 7913/77, ECHR, 10 December 1982;
26. Deweer v. Belgium, no 6903/75, ECHR, 27 February 1980;

ნორმატიული აქტები

27. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995 (ახ. რედ.);
28. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;
29. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, თბ., 2009;
30. საქართველოს კანონი ადვოკატთა შესახებ, თბ., 2001;
31. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, თბ., 2006;
32. დებულება ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ, თბ., 2010;
33. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი 1950 წლის 4 ნოემბერი, 1994;
34. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1996;
35. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია, 1978;
36. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ;
37. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, 1988;

ვებ. გვერდები

38. www.matsne.gov.ge
39. http://www.nplg.gov.ge
40. https://gba.ge/ka
41. http://www.library.court.ge
42. https://hudoc.echr.coe.int/eng